მეცნიერება
როგორც
მოწოდება
და პროფესია

მაქს ვებერი

„მეცნიერება აუცილებელია ხალხისთვის. ქვეყანა, რომელიც მას არ ავითარებს, გარდაუვლად იქცევა კოლონიად.“

ფრედერიკ ჟოლიო – კიური,

ფრანგი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ქიმიის დარგში

„ერთისთვის მეცნიერება - ამაღლებული ზეციური ქალღმერთია, ხოლო მავანთათვის - მეწველი ძროხა, რომელიც მას კარაქით უზრუნველყოფს.“

ფრიდრიხ შილერი,

გერმანელი პოეტი, დრამატურგი და ისტორიკოსი.

Max Weber

Science as a Vocation

Hackett Publishing Company
Indianapolis/Cambridge

მაქს ვებერი

მეცნიერება, როგორც მოწოდება და პროფესია

გამომცემლობა „მთენი“
თბილისი 2025

იდეა და პროექტი, მთარგმნელი,
სამეცნიერო რედაქტორი

მერაბ მიქელაშვილი

პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ნაშრომი წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც მაქს ვებერმა წაიკითხა 1917 წლის 7 ნოემბერს, მიუნხენის უნივერსიტეტში, თავისუფალი სტუდენტური კავშირის (Freistudentischen Bund) მიერ ორგანიზებული ლექციების სერიის ფარგლებში. იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა სტუდენტებისთვის, რა არის მათი, როგორც მომავალი მეცნიერებისა და პედაგოგების მოწოდება. იგი ცდილობდა აეხსნა მათთვის, თუ რა არის მეცნიერების არსი - ის საქმიანობა, რომელიც მან თავად აირჩია.
ნაშრომი განკუთვნილია ყველა იმ პირისთვის, ვინც პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობითაა დაინტერესებული.

ISBN 978-9941-8-7509-0

© მაქს ვებერი, მეცნიერება, როგორც მოწოდება და პროფესია, გამომცემლობა „მთენი“, თბილისი, 2025

მთარგმნელი ინარჩუნებს საგამომცემლო უფლებებს. მთლიანი ნაშრომის და/ან მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭვდა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია, მათ შორის ინტერნეტ ქსელში ელექტრონული ვერსიის განთავსება ან გასხვისება დაუშვებელია მთარგმნელის ნებართვის გარეშე.

ამჟამად მეცნიერული წარმოებისადმი, როგორც პროფესიისადმი დამოკიდებულებას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მეცნიერება გადავიდა სპეციალიზაციის ისეთ ეტაპზე, რომელიც მანამდე არ იყო ცნობილი და რომ ეს მდგომარეობა მომავალშიც გაგრძელდება [1].

არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაგანადაც ისეთი ვითარებაა, რომ ცალკეულ ინდივიდს შეუძლია რაიმე დასრულებულის შექმნა მეცნიერების სფეროში, მხოლოდ ყველაზე მკაცრი სპეციალიზაციის პირობებში. ყოველთვის, როდესაც კვლევა იჭრება მეზობელ სფეროში, როგორც ეს ზოგჯერ ჩვენთან ხდება - სოციოლოგებისთვის ასეთი შეჭრა მუდმივად ხდება და აუცილებლობლობით არის განპირობებული - მკვლევარს უჩნდება თავმდაბლური მოსაზრება, რომ მის ნაშრომს შეუძლია სპეციალისტს შესთავაზოს მხოლოდ ისეთი სასარგებლო საკითხის დაყენება, რომელიც მას აზრადაც არ მოუვა გონებაში, რომ მისი საკუთარი კვლევა აუცილებლად უნდა დარჩეს, როგორც უაღრესად არასრულყოფილი.

მხოლოდ მკაცრი სპეციალიზაციის წყალობით ადამიანს, რომელიც მეცნიერებით არის დაკავებული, შეუძლია ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ სრული სისავსით შეიგრძნოს, რომ მან შეძლო რაღაც ისეთი, რაც დიდი ხნის განმავლობაში დარჩება. რეალურად, დასრულებული და ნაყოფიერი სამუშაო ჩვენს დროში ყოველთვის სპეციალური სამუშაოა. ამიტომაც მას, ვისაც არ ძალუძს თვალდახუჭული გადაეშვას ამ ორომტრიალში, ურჩევნია არ შეეხოს მეცნიერებას. ის ვერასოდეს შეიგრძნობს იმას, რასაც მეცნიერებით გატაცება ჰქვია. უცნაური კმაყოფილების გარეშე, რაც მავანთა ღიმილს იწვევს, ვნებისა და იმის რწმენის გარეშე, რომ „შენს გაჩენამდე ათასწლეულებს უნდა გაევლო, და კიდევ სხვა ათასწლეულები ჩუმად გელოდებოდნენ“, - ამის გარეშე ადამიანს მეცნიერებისკენ მოწოდება არ გააჩნია და, ამ შემთხვევაში, სჯობს, ის სხვა საქმით დაკავდეს, რადგან ადამიანისთვის არავითარი ფასი არა აქვს იმას, რასაც ჟინით არ აკეთებს. მაგრამ ჟინის არსებობის მიუხედავად, როგორი ღრმა და გულწრფელიც არ უნდა იყოს ის, შედეგი შესაძლოა დიდხანს არ გვქონდეს. თუმცა, ჟინი

არის ყველაზე მთავარის - „შთაგონების“ უმთავ-
რესი წინაპირობა. დღეს ახალგაზრდებს შორის
გავრცელებულია წარმოდგენა, რომ მეცნიერება
არის რაღაც არითმეტიკული ამოცანის მაგვარი,
რომ ის იქმნება ლაბორატორიებში ან სტატის-
ტიკური კართოტეკების საშუალებით, მხოლოდ
ცივი გონებით, როგორც „ფაბრიკაში“ და არა
მთელი „სულით“. ამასთან, უპირველეს ყოვლისა,
უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი აზროვნების მქონე
ადამიანებს უმეტესად არ აქვთ წარმოდგენა იმა-
ზე, თუ რა ხდება ქარხანაში თუ ლაბორატორიაში.
იქაც და აქაც ადამიანს სჭირდება იდეა, ამასთან,
სწორი იდეა, და მხოლოდ ამ პირობებში ის
შეძლებს რაღაც სრულფასოვანის შექმნას. მაგრამ,
არაფერი მოდის გონებაში სურვილის გამო.
მხოლოდ ცივი გათვლებით ვერაფერს მიაღწევ.
რა თქმა უნდა, გათვლა აუცილებელი წინაპი-
რობაა. მაგრამ თუ მკვლევარს არ აქვს გარკვეული
იდეა, თუ რა მიმართულებით უნდა განხორცი-
ელდეს მისი გამოთვლები, და თუ გამოთვლების
დროს არ აქვს გარკვეული წარმოდგენა ცალ-
კეული შედეგების მნიშვნელობაზე, მაშინ ის ვერც
ამ უმნიშვნელო შედეგს მიიღებს. მაგალითად,

ყველა სოციოლოგი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ხანდაზმულ ასაკშიც კი, თვეების განმავლობაში ათეულობით ათასი სრულიად ტრივიალური არითმეტიკული ამოცანის ამოხსნა მოუწევს. ამოცანის ამოხსნის სრულად მექანიკურ ჭრილში გადატანა კი დაუსჯელი არ რჩება: საბოლოო შედეგი ხშირად მიზერულია. მაგრამ თუ მკვლევარს არ აქვს გარკვეული იდეა, თუ რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს მისი გამოთვლები, და თუ გამოთვლების დროს არ აქვს გარკვეული წარმოდგენა ცალკეული შედეგების მნიშვნელობაზე, მაშინ ის ვერც ამ უმნიშვნელო შედეგს მიიღებს. იდეის მომზადება შესაძლებელია მხოლოდ დიდი შრომის შედეგად. თუმცა, არა ყოველთვის. მეცნიერული თვალსაზრისით დილეტანტის იდეას შესაძლოა ჰქონდეს იგივე ან უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე სპეციალისტის აღმოჩენას. სწორედ დილეტანტებს უნდა ვუმადლოდეთ ბევრი პრობლემის საუკეთესოდ დაყენებასა და მიგნებას. როგორც ჰელმჰოლცმა თქვა რობერტ მაიერზე, დილეტანტი სპეციალისტისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მას არ აქვს

სამუშაო მეთოდის საიმედოობა და ამიტომ უმეტესწილად ვერ ახერხებს მოულოდნელად წარმოქმნილი ვარაუდის მნიშვნელობის შემოწმებას და შეფასებას. უეცარ მიგნებას არ შეუძლია შრომა ჩაანაცვლოს. და მეორე მხრივ, შრომას არ ძალუძს ჩაანაცვლოს ან იძულებით მიგვიყვანოს მიგნებასთან, ისევე როგორც ამის გაკეთება არ ძალუმს ჟინს. მხოლოდ ორივე ამ მომენტს - და აუცილებლად ორივეს ერთად - შეუძლია მიგვიყვანოს მიგნებასთან. მაგრამ ვარაუდი მაშინ ჩნდება, როცა მას სურს და არა მაშინ, როცა ჩვენ გვსურს. და მართლაც, როგორც იერინგი გვიჩვენებს, საუკეთესო იდეები სიგარეტის მოწევის ან სეირნობის დროს, ან ისეთ სიტუაციაში მოდის, როდესაც მას საერთოდ არ ელოდები და არა საწერ მაგიდასთან, როდესაც ბევრს ფიქრობ და კითხვებზე პასუხის პოვნას ცდილობ. თუმცა, მიგნება ვერ იქნება, თუ ამას წინ არ უსწრებს ფიქრები მაგიდასთან. მართლაც, საუკეთესო იდეები, როგორც იერინგი გვიჩვენებს, გონებაში მოდის დივანზე სიგარის მოწევისას, ან - როგორც ჰელმჰოლცი თავისი თავის მეცნიერული სიზუსტით აღწერისას გვამცნობს - ოდნავ აღმართზე

მიმავალ ქუჩაზე სეირნობისას ან სხვა მსგავს სიტუაციაში, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, როცა მათ არ ელოდები და არა შენს მაგიდასთან ფიქრისა და ძიებისას. მაგრამ, რასაკვირველია, ვარაუდები აზრად არ მოვიდოდა, ამას წინ რომ არ უძღოდეს მაგიდასთან ფიქრი და დაჟინებული აზროვნება.

მეცნიერი ასევე უნდა შეეგუოს რისკს, რომელიც ყველა სამეცნიერო სამუშაოს თან ახლავს: მოვა „გონების შთაგონება“ თუ არა? შეიძლება იყოთ საუკეთესო თანამშრომელი და ვერცერთხელ ვერ გააკეთოთ საკუთარი მნიშვნელოვანი აღმოჩენა. თუმცა შეცდომაა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ მეცნიერებაშია შესაძლებელი და რომ ყველაფერი, მაგალითად, ოფისში განსხვავდება ლაბორატორიისგან. კომერსანტი ან მსხვილი მრეწველი „კომერციული ფანტაზიის“ გარეშე, ანუ „გენიალური გამოგონების“ გარეშე, უმჯობესია დარჩეს ბრძანებათა გამცემად ან ტექნიკურ ჩინოვნიკად; ის ვერასდროს შექმნის ორგანიზაციულ სიახლეებს. მეცნიერ-მუშაკი იმ რისკსაც უნდა შეეგუოს, რომელიც ნებისმიერ სამეცნიერო სამუშაოს თან სდევს: მოვა „შთაგონება“ თუ არა?

შეიძლება იყო ძალიან კარგი მუშაკი, მაგრამ ვერც ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ვერ გააკეთო. მეცნიერებაში მეტ როლს სულაც არ თამაშობს, როგორც ეს მეცნიერებს წარმოუდგენიათ, ვიდრე პრაქტიკულ ცხოვრებაში, სადაც თანამედროვე მეწარმე მოღვაწეობს. მეორე მხრივ, - რასაც ასევე არ აღიარებენ, - ის აქ ასრულებს არანაკლებ როლს, ვიდრე ხელოვნებაში. ეს ხომ ეგზომ ბავშვური წარმოდგენაა, რომ მათემატიკოსი რაღაც დასკვნამდე მიდის საწერ მაგიდასთან სახაზავით ან სხვა მექანიკური საშუალებით დიდი ხნის მუშაობის შემდეგ: მაგალითად, ვეიერშტრასის მათემატიკური ფანტაზია, შინაარსითა და შედეგით, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებულია მხატვრის ფანტაზიისაგან; ანუ, თვისებრივად განსხვავებულია, თუმცა ფსიქოლოგიური პროცესი ერთი და იგივეა. ორივეს გამოარჩევს აღტაცება (პლატონისეული „ექსტაზის“ გაგებით) და „შთაგონება“.

აქვს თუ არა ვინმეს მეცნიერული შთაგონება, ეს ჩვენთვის ფარულ ბედისწერაზე და „ნიჭზეა“ დამოკიდებული. ამ უდავო ჭეშმარიტებამ მნიშ-

ვნელოვანი როლი ითამაშა ახალგაზრდებში ძალიან პოპულარული დამოკიდებულების გაჩენაში - რაც სავსებით ცხადია და გარკვეული კერპების მსახურებას გულისხმობს; მათი კერპები, როგორც ვხედავთ, ფართოდ არის წარმოდგენილი ყველა გზაჯვარედინზე და ყველა ჟურნალში. ეს იდეალებია „პიროვნება“ და „განცდა“. ისინი მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან: გაბატონებული აზრია, რომ ეს უკანასკნელი ქმნის პირველს და წარმოადგენს მის კუთვნილებას. ადამიანები აიძულებენ საკუთარ თავს, „განიცადონ“, რადგანაც „განცდა“ ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია და ახასიათებს პიროვნებას და წარუმატებლობის შემთხვევაში მაინც უნდა იფიქრო, რომ გაქვს ეს ზეციური საჩუქარი. ადრე ამგვარ განცდას „გრძნობას“ (sensation) უწოდებდნენ. და საერთოდ, ვფიქრობ და მჯერა, რომ მათ ჰქონდათ ზუსტი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა იყო „პიროვნება“.

მეცნიერების სფეროში „პიროვნება არის მხოლოდ ის, რომელიც ერთ საქმეს ემსახურება და ეს ეხება არა მხოლოდ მეცნიერების სფეროს. ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ დიდ მხატვარს, რომელიც

საკუთარი საქმის გარდა, კიდევ სხვა რამეს ემსახურებოდა. ისეთი დონის პიროვნებასაც კი, როგორიცაა გოეთე, თუ მის შემოქმედებაზე ვისაუბრებთ, დიდი ზიანი მიაყენა იმ გარემოებამ, რომ მან საკუთარი „ცხოვრების“ ხელოვნების ნიმუშად ქცევა მოინდომა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მტკიცება საეჭვოდ შეიძლება მოგეჩვენოთ - ყოველ შემთხვევაში, გოეთე უნდა იყო, რომ საკუთარ თავს ამის უფლება მისცე - ყველა დამეთანხმება, რომ გოეთეს მსგავს ხელოვანსაც კი, რომელიც ათასწლეულში ერთხელ იბადება, ამის საფასურის გადახდა უწევდა. ზუსტად ასეა პოლიტიკაშიც. თუმცა, დღეს ამაზე არ ვისაუბრებთ. მაგრამ მეცნიერებაში, სრულიად ცხადია, რომ პიროვნება ნამდვილად არ არის ადამიანი, რომელიც სცენაზე იმ საქმის იმპრესარიოდ გვევლინება, რომლისთვისაც მას საკუთარი თავი უნდა მიეძღვნა, რომელსაც სურს „განცდის“ გზით საკუთარი თავის დამკვიდრება და სვამს კითხვას: როგორ დავამტკიცო, რომ მხოლოდ სპეციალისტი არ ვარ, როგორ ვაჩვენო, რომ ფორმითაც და არსითაც ვამბობ ისეთ რამეს, რაც ჯერ არავის უთქვამს ისე, როგორც მე - ვარ

მოვლენა, რომელიც დღეს მასობრივად გავ-
რცელდა, აქციოს ყველაფერი წვრილმანად, დაამ-
ციროს ის, ვინც სვამს ამ კითხვას, არ ძალუძს იმ
საქმის სიმაღლესა და ღირსებამდე ამაღლება,
რომელსაც უნდა ემსახუროს და შესაბამისად,
მხოლოდ მისი ერთგული უნდა იყოს. ასე რომ,
აქაც არ არის განსხვავება ხელოვანისგან.

და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამუშაოს
წინაპირობები ხელოვნებასაც ახასიათებს, მისი
ბედი, მხატვრული შემოქმედებისგან მნიშვნე-
ლოვნად განსხვავდება. მეცნიერული შრომა პრო-
გრესის მოძრაობაშია ჩაქსოვილი. პირიქით, ხე-
ლოვნების სფეროში ამ თვალსაზრისით არავი-
თარი პროგრესი არ არსებობს. არასწორია ვიფიქ-
როთ, რომ რომელიმე ეპოქის ხელოვნების ნი-
მუში, რომელმაც შეიმუშავა ახალი ტექნიკური
საშუალებები ან, მაგალითად, პერსპექტივის კა-
ნონები, ხელოვნების ნაწარმოებზე მაღლა დგას;
ის აბსოლუტუტად თავისუფალია ყველა ჩამოთ-
ვლილი საშუალებისა და კანონისგან, თუ ის
მასალისა და ფორმის მიხედვით შეიქმნა, ანუ, თუ
ის შეირჩა და გაფორმდა ხელოვნების ყველა
წესის მიხედვით და არა მოგვიანებით შექმნილი

საშუალებებისა და პირობების მიხედვით, ხელოვნების სრულყოფილი ნიმუშის შემცვლელი არასოდეს იარსებებს და იგი ყოველთვის გაუძლებს დროის გამოცდას; ცალკეულ პიროვნებას შეუძლია განსხვავებულად შეაფასოს მისი მნიშვნელობა, მაგრამ ვერავინ შეძლებს იმის თქმას, რომ ხელოვნების რომელიმე სრულყოფილ ნიმუშს, სხვა ნიმუშმა „აჯობა“.

პირიქით, თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ის, რაც გავაკეთეთ მეცნიერების სფეროში, 10, 20, 40 წელიწადში მოძველდება. ეს არის ბედისწერა, უფრო მეტიც, ეს არის სამეცნიერო შრომის არსი, რომელსაც ის ემორჩილება და ემსახურება, და სწორედ ეს არის მისი სპეციფიკური განსხვავება კულტურის ყველა დანარჩენი ელემენტისგან ; მეცნიერებაში ჩანაფიქრისა და განზრახვის ნებისმიერი სრულყოფილი შესრულება, ახალ „კითხვებს“ ნიშნავს და ის, თავისი არსით, ცდილობს იყოს დაძლეული. ამას უნდა შეეგუოს ყველა, ვისაც სურს ემსახუროს მეცნიერებას. რა თქმა უნდა, სამეცნიერო ნაშრომებმა შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ თავიანთი მნიშვნელობა, რაც

უზრუნველყოფს სხვებისთვის „სიამოვნების მინიჭებას“ საკუთარი მხატვრული თვისებების გამო, ან იქცნენ სამეცნიერო მუშაობის შესწავლის საშუალებად. მაგრამ ვიყოთ დაძლეული სამეცნიერო თვალსაზრისით - არის არა მხოლოდ ჩვენი საერთო ბედი, არამედ ჩვენი საერთო მიზანიც. ჩვენ არ შეგვიძლია ვიმუშაოთ იმის იმედის გარეშე, რომ სხვები ჩვენზე შორს წავლენ. პრინციპში, ეს პროგრესი უსასრულობისკენ მიდის.

და ამგვარად, ჩვენ მივდივართ მეცნიერების არსის პრობლემამდე იმიტომ, რომ ბუნებრივი არ არის, რომ რაღაც, რაც ამგვარ კანონს ექვემდებარება, თავისთავად გააზრებული და გონივრულია. რატომ არის მეცნიერება დაკავებული ისეთი რამით, რაც რეალურად არასდროს სრულდება და არც შეიძლება რომ დასრულდეს? უპირველეს ყოვლისა, ჩნდება პასუხი: წმინდა პრაქტიკული, უფრო ფართო გაგებით, ტექნიკური მიზნებისთვის, რათა ჩვენი პრაქტიკული მოქმედება ორიენტირებული იყოს იმ მოლოდინების შესაბამისად, რასაც მეცნიერული გამოცდილება გვკარნახობს. კარგი. მაგრამ, ამას აქვს გარკვეული აზრი, მხოლოდ პრაქტიკოსისთვის. და როგორია

ადამიანის შინაგანი განწყობა პროფესიის მიმართ, თუ ის საერთოდ ესწრაფვის გახდეს მეცნიერი? იგი ამტკიცებს, რომ მეცნიერებას უნდა ეწეოდეს საკუთარი თავისთვის და არა მხოლოდ იმ პრაქ-ტიკული და ტექნიკური მიღწევებისათვის, მაგ-რამ რა განზრახვების განხორციელებას იმედოვ-ნებს მეცნიერი თავისი ქმნილებებით, რომლებიც წინასწარ განწირულია მოძველებისთვის და რა აზრს ხედავს იგი ამ სპეციალიზებულ და უსას-რულო მეცნიერულ წარმოებაში ჩართვაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რამდენიმე ზოგა-დი მოსაზრება უნდა გავითვალისწინოთ.

მეცნიერული პროგრესი არის იმ ინტელექ-ტუალური პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ათასწლეულების მანძილზე გრძელ-დება და რომლის მიმართაც ამ ეტაპზე საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს. უპირ-ველეს ყოვლისა, უნდა გავიაზროთ, თუ რას ნიშ-ნავს ეს ინტელექტუალური რაციონალიზაცია, რომელიც მეცნიერებისა და მეცნიერული ტექ-ნიკის საშუალებით ხორციელდება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დღეს ამ დარბაზში მჯდომმა თითოეულმა ჩვენთაგანმა, რომელიმე ინდიელზე

ან ჰოტენტოტებზე [2] უკეთ იცის საკუთარი არსებობის ცხოვრებისეული პირობები? სავარაუდოდ, არა. თითოეულმა ჩვენთაგანმა, ვინც ტრამვაით მგზავრობს, თუ ის პროფესიით ფიზიკოსი არ არის, არ იცის თუ როგორ მოდის ტრამვაი მოქმედებაში. მას ამის ცოდნა არც სჭირდება. საკმარისია იმის ცოდნაც, რომ მას შეუძლია ტრამვაის კონკრეტული „ქცევის“ იმედი ჰქონდეს, რის შესაბამისადაც ის ახდენს საკუთარი ქცევის ორიენტირებას, თუმცა როგორ უნდა მოიყვანოს ტრამვაი მოქმედებაში, ეს მან არ იცის. ველურმა შეუდარებლად უკეთ იცის თავისი იარაღები. მიუხედავად იმისა, რომ ფულს ვხარჯავთ, ნიძლავს დავდებ, რომ დარბაზში მყოფი ჩვენი პოლიტეკონომისტი კოლეგებიდანაც კი, თუ ასეთები არიან აქ, ალბათ, ყველა განსხვავებულად უპასუხებს კითხვას: როგორ ხდება, რომ ფულით რაიმეს ყიდვა არის შესაძლებელი? ველურმა იცის, თუ როგორ უზრუნველყოს საკუთარი თავის ყოველდღიური გამოკვება და რომელი ინსტიტუტები ეხმარება მას ამაში. შესაბამისად, მზარდი ინტელექტუალიზაცია და რაციონალიზაცია არ ნიშნავს ცხოვრებისეული პირობების

ცოდნის ზრდას. სინამდვილეში, ეს სხვა რამეს ნიშნავს: ადამიანებმა იციან ან სჯერათ, რომ თუკი მათ ამის სურვილი ექნებათ, ამ ყველაფრის გაგება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი; რომ, აქედან გამომდინარე, პრინციპულად რომ არ არსებობს არავითარი იდუმალი ძალა, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება, მაგრამ აქ მოქმედებს და რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია ყველა ნივთის დაუფლება ანგარიშიანობის მიხედვით. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ სამყარო აღარ არის მოჯადოებული. მაგიური საშუალებები უკვე აღარ არის საჭირო იმისთვის, რათა გადმოვიბიროთ ან დავიმორჩილოთ სულები, როგორც ამას ველური აკეთებდა, რომლისთვისაც არსებობდნენ ამგვარი იდუმალი ძალები. ახლა ყველაფერი კეთდება ტექნიკური საშუალებებითა და გათვლებით. აი, სწორედ ეს არის ინტელექტუალიზაცია.

მაგრამ ჯადოს მოხსნის პროცესი, რასაც ათასწლეულის მანძილზე დასავლურ კულტურაში აქვს ადგილი, და საერთოდ „პროგრესს“, რომელშიც მონაწილეობას მეცნიერებაც იღებს, რგოლისა და მამოძრავებელი ძალის სტატუსით, - აქვს თუ

არა მათ პრაქტიკული და ტექნიკური სფეროსგან დამოუკიდებელი არსი? ამგვარი კითხვები პრინ-ციპულად არის დაყენებული ლევ ტოლსტოის შემოქმედებაში. ის ამ კითხვებთან ძალიან თავი-სებური გზით მივიდა. მისი განსჯა კონცენ-ტრირდებოდა ერთი კითხვის გარშემო, აქვს თუ არა აზრი სიკვდილს? ლევ ტოლსტოის პასუხი ასეთია: კულტურული ადამიანისთვის - „არა“. და სწორედ იმიტომ „არა“, რომ ცალკეული ადამია-ნის ცხოვრებას, უსასრულო „პროგრესში“ ჩარ-თულ ცივილიზებულ ცხოვრებას, მისი შინაგანი არსით, არ შეიძლება დასასრული ჰქონდეს, რად-განაც ის, ვინც პროგრესშია ჩართული, შემდგომი პროგრესის წინაშე აღმოჩნდება. მომაკვდავი ადა-მიანი ვერ მიაღწევს მწვერვალს - ეს მწვერვალი უსასრულობაში გადადის. აბრაამი, ან რომელიმე გლეხი ძველ ეპოქებში კვდებოდა „მოხუცი და ცხოვრებით მაძღარი“, რადგანაც ჩართული იყო ცხოვრების ორგანულ ორომტრიალში, რადგანაც მისი ცხოვრება თავისი არსით, მისი დღეების დაისის დროსაც, აძლევდა მას იმას, რისი მიცემაც

შეეძლო; მისთვის არ რჩებოდა გამოცანები, რომ-ლის ამოხსნასაც ის ისურვებდა და მისთვის საკ-მარისი იყო ისიც, რასაც მან მიაღწია.

პირიქით, ცივილიზაციაში ჩართული, „კულ-ტურის ადამიანი“, რომელიც მუდმივად მდიდ-რდება იდეებით, ცოდნით, პრობლემებით, შეიძ-ლება „დაიღალოს ცხოვრებისგან“, მაგრამ მისით მაძღარი ვერ გახდება. რადგანაც ის წვდება იმის მხოლოდ მცირე ნაწილს, რომელსაც კვლავ და კვლავ ბადებს სულიერი ცხოვრება, თანაც რაღაც წინასწარგანსაზღვრულსა და დაუსრულებელს, ამიტომაც მისთვის სიკვდილი - არის შინაარსს მოკლებული მოვლენა. და რადგანაც სიკვდილი შინაარსს მოკლებულია, შინაარსს მოკლებულია კულტურული ცხოვრებაც, როგორც ასეთი, რად-განაც სწორედ ის, თავისი უაზრო პროგრესით უაზრობისთვის წირავს თავად სიკვდილს. ტოლსტოის გვიანდელ რომანებში ეს აზრი მისი შემოქმედების ძირითად განწყობას წარმოადგენს. რა უნდა ვიღონოთ აქ? აქვს კი „პროგრესს“, რო-გორც ასეთს, აზრი, რომელსაც შეიძლება ჩაწვდე და რომელიც ტექნიკური სფეროს ფარგლებს სცილდება და თან ისე, რომ პროგრესისთვის

მსახურება შეიძლება იქცეს მოწოდებად, რო-
მელსაც მართლაც შეიძლება ჰქონდეს აზრი?
ასეთი კითხვა უნდა დაისვას. თუმცა, ეს უკვე არ
იქნება მხოლოდ კითხვა იმის შესახებ, არის თუ
არა მეცნიერება პროფესია და მოწოდება [3]
ადამიანისთვის, რომელმაც საკუთარი ცხოვრება
მას (მეცნიერებას) მიუძღვნა. აქ სხვა საკითხიც
დგას: როგორია მეცნიერების დანიშნულება
სრულიად კაცობრიობის ცხოვრებაში? როგორია
მისი ღირებულება?

აქ მეცნიერების ძველ და თანამედროვე
გაგებას შორის განსხვავება მნიშვნელოვანია.
გაიხსენეთ პლატონის მიერ „სახელმწიფოს“ მეშ-
ვიდე წიგნის დასაწყისში მოყვანილი ადამიანების
საოცარი სახეები - გამოქვაბულს მიჯაჭვულ ადა-
მიანთა გამოსახულებები, რომელთაც სახეები
კედლისკენ აქვთ მიმართული, სინათლის შუქი
კი, მათ ზურგს უკანაა, ისე, რომ მათ ამ სხივის
ხილვა არ შეუძლიათ; ამიტომაც ისინი მხოლოდ
აჩრდილებით არიან დაკავებულები, რომელიც
კედელზეა არეკლილი, და ცდილობენ ახსნან
მათი არსი. ერთ-ერთი მათგანი ახერხებს ჯაჭ-

ვებისგან თავის დაღწევას, ზურგისკენ ტრიალდება და ხედავს მზეს. დაბრმავებული, ხელის ცეცებით ახერხებს გზის გაკვალვას და ენის ბორძიკით ყვება ნანახის შესახებ. მაგრამ სხვები მიიჩნევენ, რომ შეშლილია. მაგრამ, ის თანდათან სწავლობს სინათლის ჭვრეტას და ახლა მისი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩავიდეს ადამიანებთან გამოქვებულში და ისინი მზის შუქზე გამოიყვანოს. ეს ადამიანი არის ფილოსოფოსი, მზე კი - მეცნიერების ჭეშმარიტება, რომელიც არ მისდევს მოჩვენებებსა და აჩრდილებს, არამედ ჭეშმარიტი ყოფიერებისკენ ისრაფვის.

ვის აქვს დღეს ამგვარი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი? ახალგაზრდა თაობას დღეს უფრო საწინააღმდეგო გრძნობა გაუჩნდა, კერძოდ ის, რომ მეცნიერების გონებრივი კონსტრუქციები წარმოადგენენ რეალობისგან დაცლილ სფეროს, შორს წასული აბსტრაქციებით, რომლებიც ცდილობენ თავიანთი გამხმარი თითებით აითვისონ რეალური ცხოვრების „ხორცი და სისხლი“, მაგრამ ამას ვერასოდეს აღწევენ. ამის საპირისპიროდ, აქ, ცხოვრებაში, იმაში, რაც პლატონისთვის

გამოქვებულის კედელზე გამოსახული აჩრდილების თამაში იყო, ფეთქავს სინამდვილის გულისცემა, სხვა ყველაფერი კი უსიცოცხლო აჩრდილებია და სხვა არაფერი.

როგორ მოხდა ასეთი გარდასახვა? პლატონის მხურვალე აღტაცება „სახელმწიფოში“ საბოლოო ჯამში იმით აიხსნება, რომ მის დროს პირველად გაიხსნა ცნობიერებისათვის ყველა სამეცნიერო შემეცნების ერთ-ერთი უდიდესი საშუალების - კონცეპტის, ცნების მნიშვნელობა. თავისი ყველა მნიშვნელობით ის სოკრატემ აღმოაჩინა. და არა მხოლოდ მან.

ინდოეთში შეიძლება აღმოვაჩინოთ იმ ლოგიკის საწყისები, რომელსაც არისტოტელესთან ვხვდებით. თუმცა, არსად, საბერძნეთის გარდა ეს აღმოჩენა არ არის გაცნობიერებული. როგორც ჩანს, აქ ადამიანების ხელში პირველად აღმოჩნდა საშუალება, რომლითაც შეიძლება ადამიანის ლოგიკის ჩარჩოებში ჩაკეტვა, საიდანაც გამოსვლას ის მანამ ვერ შეძლებს, სანამ არ აღიარებს: მან ან არაფერი იცის, ან ეს - სწორედ ეს და არა სხვა რამ - არის ჭეშმარიტება, მარადიული, უხრწნელი,

ბრმა ადამიანების ქმედებებისგან და საქციელისგან განსხვავებით. ეს იყო უჩვეულო განცდა, რომლის წინაშეც სოკრატეს მოსწავლეები აღმოჩნდნენ. აქედან გამომდინარეობდა შედეგი: საკმარისია მივაგნოთ სილამაზის, სიკეთის, ან, მაგალითად, სულის სიმამაცის სწორ გაგებას, და მივაგნებთ მათ ჭეშმარიტ ყოფასაც. ეს კი, გზას უხსნიდა იმას, რომ თავად გვესწავლა და სხვებისთვისაც გვესწავლებინა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ცხოვრებაში, პირველ რიგში კი, როგორც სახელმწიფოს მოქალაქე. რადგანაც ბერძნებისთვის, რომლებიც მხოლოდ პოლიტიკურად აზროვნებდნენ, ამ საკითხზე იყო ყველაფერი დამოკიდებული. სწორედ ამაში იმალება მათი მეცნიერებით გატაცების მიზეზი.

ელინური გონის ამ აღმოჩენის პარალელურად გაჩნდა მეცნიერული სამუშაოს მეორე დიდი ინსტრუმენტი, აღორძინების ეპოქის შვილი - რაციონალური ექსპერიმენტი, როგორც საიმედოდ კონტროლირებადი შემეცნების საშუალება, რომლის გარეშეც თანამედროვე ემპირიული მეცნიერება ვერ იარსებებდა. თუმცა, ექსპერიმენტებს ადრეც ატარებდნენ: ფიზიოლოგიის

სფეროში ექსპერიმენტი არსებობდა, მაგალითად, ინდოეთში იოგების ასკეტურ ტექნიკაში; ძველ საბერძნეთში არსებობდა სამხედრო ტექნიკასთან დაკავშირებული მათემატიკური ექსპერიმენტი, შუა საუკუნეებში ექსპერიმენტი გამოიყენებოდა სამთო საქმეში. თუმცა, ექსპერიმენტის, როგორც კვლევის პრინციპის გამოყენება, აღორძინების ეპოქის დამსახურებაა. ხელოვნების სფეროში დიდი ნოვაციის პიონერები ლეონარდო და ვინჩი და სხვები იყვნენ, პირველ რიგში, ექსპერიმენტატორები XVI საუკუნის მუსიკაში, კლავიშების ტემპერაციის [4] შემუშავებით. მათგან ექსპერიმენტმა მეცნიერებაში გადაინაცვლა, პირველ რიგში, გალილეოს წყალობით, თეორიაში კი, ეს პროცესი ბეკონის წყალობით მოხდა; შემდეგ, ექსპერიმენტი ევროპის, პირველ რიგში კი, იტალიისა და ჰოლანდიის უნივერსიტეტებში ცალკეულმა ზუსტმა მეცნიერებებმა გადაიტანეს.

რას ნიშნავდა მეცნიერება ახალი ეპოქის ზღურბლზე მცხოვრები ადამიანებისთვის?

ლეონარდო და ვინჩის მსგავსი მხატვარი-ექსპერიმენტატორებისათვის და ნოვატორების-

თვის მუსიკის სფეროში ეს ნიშნავდა გზას ჭეშმარიტი ხელოვნებისკენ, ანუ გზას ჭეშმარიტი ბუნებისკენ. ამით, ხელოვნება განსაკუთრებული მეცნიერების რანგში, მხატვარი კი, სოციალური თვალსაზრისით და საკუთარი ცხოვრების შინაარსის გამო, ექიმის რანგში იყო აყვანილი. სწორედ ასეთი ამბიცია უდევს საფუძვლად, მაგალითად, ლეონარდო და ვინჩის ნაშრომს „წიგნი ფერწერის შესახებ“.

და რა ხდება დღეს? „მეცნიერება, როგორც გზა ბუნებისკენ“ - ეს ახალგაზრდა თაობისთვის ჟღერს, როგორც მკრეხელობა. პირიქით, აუცილებელია მეცნიერული ინტელექტუალიზმისგან გათავისუფლება, რათა დავუბრუნდეთ საკუთარ ბუნებას და ამით დავუბრუნდეთ ბუნებას ზოგადად! შესაძლოა, ეს არის გზა ხელოვნებისკენ? ამგვარი მოსაზრება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერების გაჩენის ეპოქაში მეცნიერებისგან კიდევ უფრო მეტს ელოდნენ. თუ გაიხსენებთ ი. სვამერდამის [5] გამოთქმას - „მე დაგიმტკიცებთ ღვთაებრივი წინასწარმეტყველების არსებობას მკბენარის ანატომირებით“ - თქვენ ნახავთ, რომ

პროტესტანტიზმისა და პურიტანიზმის ირიბი ზეგავლენის ქვეშ მყოფი სამეცნიერო საქმიანობის ამოცანად, ღვთისკენ მიმავალი გზის აღმოჩენა წარმოადგენდა. იმ დროისათვის მას ფილოსოფოსებთან ვეღარ პოულობდნენ, მათი ცნებებითა და დედუქციებით. ღვთის პოვნა შეუძლებელია იქ, სადაც მას შუასაუკუნეებში ეძებდნენ, - ამაში დარწმუნებული იყო იმ დროის პიეტური თეოლოგია [6] და, პირველ რიგში, შპენერი. ღმერთი იდუმალია, მისი გზები, ჩვენს გზას არ წარმოადგენს, მისი აზრები, ჩვენი აზრები არ არის. მაგრამ ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სადაც ღმერთის შემოქმედება ფიზიკურად ხელშესახებია, არსებობდა იმედები, რომ ეპოვათ მისი განზრახვების კვალი სამყაროსთან დაკავშირებით.

მაგრამ რას ვიტყოდით დღევანდელობაზე? ზუსტ მეცნიერებებში ჩართული ზოგიერთი „ზრდასრული ბავშვის“ გარდა, რომლებსაც შეიძლება შევხვდეთ ბუნებისმეტყველთა შორის, ვიღას სჯერა, რომ ასტრონომიის, ბიოლოგიის, ფიზიკის ან ქიმიის ცოდნას, ნაკლებად, მაგრამ მაინც

შეუძლია აგვიხსნას სამყაროს არსი, ან მიგვითი-თოს მაინც, თუ სად შეიძლება მივაკვლიოთ ამ „არსს“, თუ ის საერთოდ არსებობს? ერთადერთი, რისი გაკეთებაც მეცნიერებას ძალუძს, არის რწმენის მოკვლა, რომ საერთოდ არსებობს ისეთი რამ, რასაც სამყაროს „არსი“ ჰქვია! და მით უფრო აბსურდულია ვიფიქროთ, რომ ღმერთისთვის უცხო ძალას შეუძლია „ღმერთთან“ მიგვიყვანოს. თუ რას წარმოადგენს ის, ამაში დღეს გულის სიღრმეში აღარავის ეპარება ეჭვი, იმის და მიუხედავად, აღიარებს თუ არა ამას საკუთარ თავთან.

მეცნიერების რაციონალიზაციისა და ინტე-ლექტუალიზმისაგან გათავისუფლება არის ცხო-ვრების ღვთაებრივი ერთიანობის ძირითადი წინაპირობა - ეს ან ამის მსგავსი თეზისი ჩვენი რე-ლიგიური განწყობილებებისა და ახალგაზრობის რელიგიური განცდების ძირითად ლოზუნგად იქცა. და არა მხოლოდ რელიგიური, თუმცა, აქ უცნაური გზაა არჩეული: ერთადერთი, რასაც ინტელექტუალიზმი ჯერ კიდევ არ შეხებია, კერ-ძოდ, ირაციონალიზმი, რის ცნობიერებამდე მიყ-ვანასა და დეტალურად, გამადიდებელი შუშის

საშუალებით შეცნობას ცდილობენ. სწორედ ამისკენ მიდის ირაციონალურობის თანამედროვე ინტელექტუალური რომანტიკა.

ინტელექტუალიზმისგან გათავისუფლების ეს გზა ზუსტად იმის საპირისპიროს იძლევა, რისი მოლოდინიც ჰქონდათ მათ, ვინც ამ გზას დაადგა. საბოლოოდ, ის ფაქტი, რომ მეცნიერებას, ანუ ცხოვრების მართვის ტექნიკას, რომელიც მასზეა დაფუძნებული, გულუბრყვილო ოპტიმიზმით ესალმებოდნენ, როგორც ბედნიერებისკენ მიმავალ გზას, შემიძლია გვერდზე დავტოვო, ნიცშეს გამანადგურებელი კრიტიკის შემდეგ, რომელიც ეხებოდა „ბედნიერების გამომგონებელ უკანასკნელ ადამიანებს“. ვის სჯერა ამის, გარდა ზოგიერთი „ზრდასრული“ ბავშვისა, კათედრებსა თუ სარედაქტორო კაბინეტებში? [7]

და მაინც, რაში მდგომარეობს მეცნიერების, როგორც პროფესიის არსი ახლა, როდესაც ყველა წარსული ილუზია დაიმსხვრა, რომელთა წყალობითაც მეცნიერება წარმოადგენდა „გზას ჭეშმარიტი ყოფისკენ“, „გზას ჭეშმარიტი ხელოვნებისკენ“, „გზას ჭეშმარიტი ბუნებისკენ“, „გზას ჭეშმარიტი

ღმერთისკენ“, „გზას ჭეშმარიტი ბედნიერების-კენ“?, ამ კითხვაზე ყველაზე მარტივი პასუხი ტოლსტოიმ გასცა: ის არსისაგან დაცლილია, რადგან არ იძლევა პასუხს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან კითხვებზე: „რა უნდა ვაკეთოთ?“, „როგორ ვიცხოვროთ?“ და ის ფაქტი, რომ ის არ პასუხობს ამ კითხვებს, სრულიად უდაოა. პრობლემა მხოლოდ იმაშია, თუ რა აზრით არ იძლევა ის „არავითარ“ პასუხს. იქნებ, ამის ნაცვლად მას შეუძლია რაღაც მაინც მისცეს მას, ვინც ამ კითხვას სვამს?

დღეს ბევრს საუბრობენ მეცნიერებაზე, რომელსაც წინაპირობა არ აქვს. არსებობს კი ასეთი მეცნიერება? ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ესმით ამ ტერმინის ქვეშ. ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომი ყოველთვის განპირობებულია ლოგიკისა და მეთოდოლოგიის წესების გარკვეული მნიშვნელობით - ეს არის მსოფლიოში ჩვენი ორიენტაციის უნივერსალური საფუძვლები. რაც შეეხება აღნიშნულ წინაპირობებს, ისინი, ჩვენი სპეციალური კითხვებიდან გამომდინარე, ნაკლებად პრობლემატურია. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი წინაპირობა: მეცნიერული

შრომის შედეგების მნიშვნელობა, მათი მეცნიერული ღირებულება. ცხადია, სწორედ აქ იმალება ყველა ჩვენი პრობლემა. რადგანაც ეს წინაპირობა არ შეიძლება დამტკიცდეს მეცნიერების ხელთ არსებული საშუალებებით. შეიძლება მხოლოდ მის საბოლოო მნიშვნელობაზე მითითება, რომელსაც შემდეგ ან უარყოფენ, ან მიიღებენ იმის და მიხედვით, თუ რა საბოლოო ცხოვრებისეული ღირებულებები გააჩნიათ თავად.

განსხვავებულია სამეცნიერო მუშაობის კავშირი მის წინაპირობებთან: ის მეცნიერების სტრუქტურაზეა დამოკიდებული. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაგალითად ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია, მიიჩნევენ, რომ მეცნიერების მიერ კონსტრუირებული კოსმიურ მოვლენათა შესახებ უმაღლესი კანონები იმსახურებს იმას, რომ მათ შესახებ იცოდნენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი ცოდნით ტექნიკური წარმატებების მიღწევაა შესაძლებელი, არამედ „თავად მათ გამოც“ - თუ მეცნიერება არის „მოწოდება“. თავად ამ წინაპირობის დამტკიცება შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია დაამტკიცო, იმსახურებს თუ არა

არსებობას სამყარო, რომელსაც აღწერენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, აქვს კი მას რაიმე „არსი“ და აქვს თუ არა აზრი არსებობას ამგვარ სამყაროში. ამგვარად საკითხი არ დგება.

ან აიღეთ მეცნიერული თვალსაზრისით ისეთი მაღალგანვითარებული პრაქტიკული ხელოვნება, როგორიცაა თანამედროვე მედიცინა. თუ ტრივიალურად აღვწერთ, სამედიცინო მოღვაწეობის საზოგადო „წინაპირობა“ მდგომარეობს დებულებაში, რომ აუცილებელია ცხოვრების, როგორც ასეთის, უბრალოდ შენარჩუნება და ტანჯვის შეძლებისდაგვარად შემცირება. თავად ეს ამოცანა კი პრობლემატურია. მის ხელთ არსებული საშუალებებით, ექიმი ამხნევებს და ძალას ჰმატებს ავადმყოფს, რომელიც სასიკვდილოდ არის ავად და ეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ავადმყოფი მას ცხოვრებისგან გათავისუფლებას სთხოვს, თუ ახლობლებისთვის ავადმყოფმა დაკარგა ღირებულება და მათ არ ძალუძთ მისი მხარდაჭერა, და რომელთაც სურთ და უნდა სურდეთ ამგვარი ავადმყოფის სიკვდილი იმის მიუხედავად, უტყდებიან საკუთარ თავს ამაში თუ არა. მხოლოდ მედიცინის წინაპირობები და

სისხლის სამართლის კოდექსი უშლის ხელს ექიმს, უარი თქვას სასიკვდილო ავადმყოფის მხარდაჭერაზე. არის კი ცხოვრება ღირებული და როდის? ამ კითხვას მედიცინა არ სვამს. ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერება გვაძლევს პასუხს კითხვაზე, თუ რა უნდა ვაკეთოთ, თუ გვსურს ტექნიკურად დავეუფლოთ ცხოვრებას. მაგრამ, გვსურს კი ეს ჩვენ და უნდა გავაკეთოთ თუ არა ეს, აქვს თუ არა მას, საბოლოო ჯამში, რაიმე აზრი? ამგვარ კითხვებს ის უპასუხოდ ტოვებს, ან აღიქვამს მას, როგორც წინაპირობას საკუთარი მიზნებისთვის.

ან აიღეთ ისეთი დისციპლინა, როგორიცაა ხელოვნებათმცოდნეობა. ესთეტიკოსისთვის ცალსახაა, რომ არსებობს ხელოვნების ნიმუშები. ის ცდილობს იმის დასაბუთებას, თუ რა პირობებში აქვს ამ ფაქტს ადგილი. მაგრამ ის არ სვამს კითხვას იმის შესახებ, ხომ არ არის ხელოვნების სამეფო ეშმაკისეული დიდების სამეფო, ამ ქვეყნიერების სამეფო, რომელიც თავისი სიღრმით ღმერთის წინაღმდეგ არის მიმართული, თავისი ღრმად გაბატონებული არისტოკრატიული სულის გამო, ადამიანთა ძმობის წინააღმდეგ არის

მიმართული. ესთეტიკა არ სვამს კითხვას, უნდა არსებობდეს თუ არა ხელოვნების ნიმუში.

ან აიღეთ იურისპრუდენცია. ის ადგენს, თუ რა არის მნიშვნელოვანი: იურიდიული აზროვნების წესების შესაბამისად, ნაწილობრივ იძულებით ლოგიკური, ნაწილობრივ კონვენციურად დაკავშირებული მოცემული სქემებით; შესაბამისად, სამართლებრივი პრინციპები და მათი ინტერპრეტაციის გარკვეული მეთოდები წინასწარ აღიარებულია სავალდებულოდ. უნდა არსებობდეს თუ არა სამართალი და უნდა იყოს თუ არა სწორედ ეს წესები დადგენილი? ამ კითხვებზე იურისპრუდენცია არ პასუხობს. მას შეუძლია მხოლოდ მიუთითოს: თუ სურთ კონკრეტული შედეგი, მაშინ ჩვენი სამართლებრივი აზროვნების შესაბამისი რომელიღაც სამართლებრივი პრინციპი არის მისი მიღწევის საუკეთესო საშუალება.

ან აიღეთ ისტორიული მეცნიერებები კულტურაზე. ისინი გვასწავლიან, გავიგოთ კულტურის პოლიტიკური, მხატვრული, ლიტერატურული და სოციალური მოვლენები, მათი წარმოშობის პირობების მიხედვით. მაგრამ თავად

ისინი არ გვთავაზობენ პასუხს კითხვაზე, არის თუ არა ღირებული კულტურის ეს მოვლენები და უნდა იარსებონ თუ არა მათ მომავალში; საჭიროა თუ არა მათ შესასწავლად ძალისხმევის დახარჯვა, არც ამ კითხვაზე გვთავაზობს ის პასუხს. ისინი უბრალოდ გვაძლევენ შანსს, ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ „კულტურულ ადამიანთა“ საზოგადოებაში ამგვარად მონაწილეობა, საინტერესოა. თუმცა, „მეცნიერულად“ იმის დამტკიცება, რომ ეს ნამდვილად ასეა, კულტურის მეცნიერებებს არ შეუძლია; ხოლო ის, რომ ისინი მოცემულ ფაქტს იღებენ როგორც წინაპირობას, სულაც არ ამტკიცებს, რომ ეს ყველაფერი თავისთავად იგულისხმება.

მოდით, ვისაუბროთ ჩემთვის ყველაზე ახლობელ დისციპლინებზე - სოციოლოგიაზე, ისტორიაზე, პოლიტეკონომიასა და სახელმწიფოს თეორიაზე, ასევე კულტურის ფილოსოფიის იმ სახეებზე, რომლებიც მიზნად ჩამოთვლილი დისციპლინების ახსნას ისახავენ. არსებობს მოსაზრება და მე მას ვიზიარებ, რომ პოლიტიკის ადგილი აუდიტორიაში არ არის. სტუდენტები აუდიტორიაში პოლიტიკით არ უნდა იყვნენ

დაკავებულნი. მაგალითად, ჩემი ყოფილი კოლეგის დიტრიხ შეფერის აუდიტორიაში, ბერლინში, პაფიცისტურად განწყობილი სტუდენტები კათედრას ალყას შემოარტყამდნენ და ხმაურს დაიწყებდნენ, მე ამ მოვლენას ისეთივე პრიმიტიულს ვუწოდებდი, როგორც იმას, რასაც ანტიპაციფისტურად განწყობილი სტუდენტები აკეთებდნენ პროფესორ ფიორსტერის აუდიტორიაში, რომლის იდეებსაც მე სრულებითაც არ ვიზიარებ.

თუმცა, პოლიტიკით აუდიტორიაში არც პედაგოგი არ უნდა იყოს დაკავებული, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკა მისი მეცნიერული შესწავლის საგანია. რადგანაც, პრაქტიკულად, პოლიტიკური განწყობა და პოლიტიკურ წარმონაქმნთა და პარტიულ პოზიციათა მეცნიერული ანალიზი, ეს ორი განსხვავებული რამ არის. როდესაც დემოკრატიაზე სახალხო კრებაზე საუბრობენ, მაშინ საკუთარ პოზიციას არ ასაიდუმლოებენ; საკუთარი პოზიციის ღიად დაფიქსირება აქ არასასიამოვნო ვალდებულება და მოვალეობაა. სიტყვები, რომელსაც

ამ დროს იყენებენ, არის არა მეცნიერული ანალიზის საშუალება, არამედ პოლიტიკურ მომხრეთა გადაბირების საშუალება. სიტყვები აქ წარმოადგენს ბრძოლის საშუალებას, ხმალს, რომელიც მოწინააღმდეგის წინააღმდეგ არის მიმართული. პირიქით, ლექციაზე ან აუდიტორიაში ამგვარი სიტყვების გამოყენება დანაშაული იქნებოდა. თუ მაგალითად „დემოკრატიაზეა“ საუბარი, აუცილებელია აქ მისი განსხვავებული ფორმების წარმოჩენა, მათი ფუნქციონირების გაანალიზება, იმის დადგენა, თუ რა კავშირი აქვს ამა თუ იმ ფორმას ცხოვრებისეულ ურთიერთობებზე; შემდეგ შესაძლებელია მისი პოლიტიკური წესრიგის სხვა, არადემოკრატიულ ფორმებთან შედარება და შეძლებისდაგვარად სწრაფვა, რომ მსმენელმა, მეტ-ნაკლებად იპოვოს ისეთი წერტილი, რომლიდანაც ის გამოვა და დაიკავებს პოზიციას საკუთარი უმაღლესი იდეალების შესაბამისად. თუმცა, ჭეშმარიტი დამრიგებელი არ შეეცდება მსმენელს კათედრიდან ესა თუ ის პოზიცია მოახვიოს თავს, იქნება ეს პირდაპირი თუ შთაგონების გზით, რადგანაც ყველაზე არასწორია ხერხი, როდესაც „გაიძულებენ ისაუბრო ფაქტებზე“.

რატომ არ უნდა გავაკეთოთ ეს? მე ვუშვებ იმას, რომ ზოგიერთი ჩემი ღრმად პატივცემული კოლეგა ამგვარ თვითშეზღუდვას შეუძლებლად მიიჩნევს და ის შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მისგან თავის არიდება უბრალოდ კაპრიზი იქნებოდა. ცხადია, ვერავის დაუმტკიცებ მეცნიერულად, თუ რაში მდგომარეობს მისი, როგორც აკადემიური პერსონალის ვალდებულება. ჩვენ შეგვიძლია მისგან მოვითხოვოთ მხოლოდ ინტელექტუალური პატიოსნება - იმის გაცნობიერება, რომ ფაქტების დადგენა, ნივთების მათემატიკური ან ლოგიკური განლაგების ან კულტურული მემკვიდრეობის შინაგანი სტრუქტურის დადგენა, ერთის მხრივ და მეორე მხრივ - პასუხი კითხვაზე, რომელიც კულტურის ღირებულებებსა და მის ცალკეულ წარმონაქმნებს ეხება, შესაბამისად, პასუხი კითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედო კულტურული ერთობის და პოლიტიკური კავშირების ფარგლებში, - ორი აბსოლუტურად განსხვავებული პრობლემაა.

თუ ის ამის შემდეგაც იკითხავს, თუ რატომ არ უნდა იმსჯელოს მან ამ ორი დასახელებული პრობლემის შესახებ აუდიტორიაში, მას უნდა

ვუპასუხოთ: სასწავლო აუდიტორიაში კათედრაზე დემაგოგებისა და წინასწარმეტყველთა ადგილი არ არის. წინასწარმეტყველისა და დემაგოგისთვის არის ნათქვამი: „გადი ქუჩაში და ისაუბრე ღიად“. ეს ნიშნავს: წადი იქ, სადაც კრიტიკა შესაძლებელია. აუდიტორიაში პედაგოგი ზის მსმენელთა წინაშე: ისინი ჩუმად უნდა იყვნენ, მან კი უნდა ისაუბროს. და მე ვთვლი, რომ უპასუხისმგებლობაა ისარგებლო იმით, რომ სტუდენტები, საკუთარი მომავლის გამო, უნდა დაესწრონ პადაგოგთა ლექციებს და რომ იქ არ არის არავინ, ვინც კრიტიკით შეძლებდა გამოსვლას მის წინააღმდეგ; უპასუხისმგებლობაა ისარგებლო საკუთარი ცოდნითა და მეცნიერული გამოცდილებით არა იმისთვის, რომ სარგებელი მოუტანო მსმენელს, რაშიც მდგომარეობს პედაგოგის ამოცანა, არამედ გამოიყენო აუდიტორია საკუთარი პოლიტიკური შეხედულებებისთვის.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ადამიანი საკუთარ სუბიექტურ შეხედულებებზე უარს სრულად ვერ ამბობს. მაშინ ის ხდება უმწვავესი კრი-

ტიკის ობიექტი, საკუთარი „სინდისის ფორუმზე“. თუმცა, მოცემული შემთხვევა ჯერ კიდევ არაფერს არ ამტკიცებს, რადგანაც შესაძლებელია სხვა, ფაქტობრივ შეცდომებს ჰქონდეს ადგილი. და მაინც, ისინი არ არის ჩვენება ვალდებულების წინააღმდეგ, ვალდებულება კი ჭეშმარიტების ძიებაშია. მე უარვყოფ სუბიექტურ შეხედულებებს წმინდა მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე. მე მზად ვარ ჩვენი ისტორიკოსების ნაშრომებში ვიპოვო იმის დადასტურება, რომ იქ, სადაც მეცნიერი ადამიანი მიდის საკუთარი ღირებულებითი მსჯელობით, ადგილი ფაქტების სრულ გაგებას არ აქვს [8]. მაგრამ ეს დღევანდელი თემის ფარგლებს სცილდება და ხანგრძლივ მსჯელობას მოითხოვს.

მე ვსვამ ერთადერთ კითხვას: როგორ შეუძლიათ, ერთი მხრივ, მორწმუნე კათოლიკს და მეორე მხრივ, მასონს, რომლებიც ეკლესიისა და სახელმწიფოს ფორმების შესახებ ისმენენ ლექციას, მივიდნენ მოცემულ საგანთა მსგავს შეფასებამდე? ეს გამორიცხულია. და მაინც, აკადემიურ პედაგოგს უნდა ჰქონდეს სურვილი, საკუ-

თარი ცოდნითა და მეთოდით სარგებელი მოუ-
ტანოს როგორც ერთს, ასევე მეორეს. მან საკუთარ
თავს ასეთი მოთხოვნა უნდა წაუყენოს. თქვენ
შეიძლება არ დამეთანხმოთ და სამართლიანადაც:
მორწმუნე კათოლიკი არასდროს გაიზიარებს
ფაქტების იმ გაგებას, რომელიც ქრისტიანობის
წარმოშობას ეხება და რომელსაც მას დოგმატური
წინაპირობებისგან თავისუფალი პედაგოგი შეს-
თავაზებს. ცხადია! მაგრამ მეცნიერება რწმენისგან
შემდეგით განსხვავდება: რელიგიურ ჩარჩოებში
მოქცევის აუცილებლობისგან თავისუფალი მეც-
ნიერება რელიგიურად არ აღიარებს „სასწაუ-
ლებსა“ და „გამოცხადებებს“, წინააღმდეგ შემ-
თხვევაში ის საკუთარი „წინაპირობების“ ერთგუ-
ლი ვერ იქნება. მორწმუნე აღიარებს როგორც
სასწაულს, ისე გამოცხადებას და ამგვარი წინა-
პირობებისგან თავისუფალი მეცნიერება მხო-
ლოდ ერთადერთს მოითხოვს მისგან, არც ნაკ-
ლებს და არც მეტს: აღიაროს, რომ თუ მოვლე-
ნების მიმდინარეობა უნდა აიხსნას იმგვარი
ზებუნებრივი ჩარევის გარეშე, რომელსაც ემპი-
რიული ახსნა გამორიცხავს, როგორც მიზე-
ზობრივ მომენტს, მოვლენების მიმდინარეობა

ზუსტად ისე უნდა აიხსნას, როგორც ამას მეცნიერება ცდილობს. მაგრამ ამის აღიარება მორწმუნეს შეუძლია ისე, რომ არ უღალატოს საკუთარ რწმენას.

მაგრამ აქვს კი მეცნიერულ მიღწევებს რაიმე აზრი მათთვის, ვისთვისაც ფაქტები, როგორც ასეთი, უმნიშვნელოა და მნიშვნელოვანია მხოლოდ პრაქტიკული პოზიცია? ალბათ, მაინც აქვს. დასაწყისისთვის ასეთ არგუმენტს წარმოვადგენ: თუ პედაგოგი უნარიანია, მაშინ მისი პირველი ამოცანაა, ასწავლოს მოსწავლეებს უხერხული ფაქტების აღიარება. მე მხედველობაში მაქვს ისეთი ფაქტები, რომლებიც უხერხულია მათი პარტიული პოზიციების თვალსაზრისით. ყველა პარტიული პოზიციისთვის, მათ შორის ჩემთვისაც, არსებობს ასეთი უკიდურესად უხერხული ფაქტები. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში აკადემიური პედაგოგი აიძულებს საკუთარ მსმენელებს მიეჩვიონ იმას, რომ ის სჩადის რაღაც უფრო მეტს, ვიდრე ინტელექტუალურ აქტს, უფლებას მივცემ თავს და ვიქნები არათავმდაბალი და გამოვიყენებ ფრაზას „ზნეობრივი აქტი“, მიუხედავად იმისა,

რომ ეს უკანასკნელი შეიძლება ძალიან პათეტიკურად ჟღერდეს ასეთი უბრალო და თავისთავად ცხადი საქმისთვის.

ამ დრომდე ვსაუბრობდი მხოლოდ პრაქტიკულ საფუძვლებზე, რის გამოც პირადი პოზიციის თავს მოხვევისგან თავი უნდა შევიკავოთ. თუმცა ეს ყველაფერი არ არის. პრაქტიკული პოზიციის „მეცნიერული“ გამართლების შეუძლებლობა - იმ შემთხვევის გარდა, როდესაც წინასწარ განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალებებზე მსჯელობენ - უფრო ღრმა საფუძვლებიდან გამომდინარეობს. ამგვარი გამართლებისკენ სწრაფვა პრინციპულად აზრს არის მოკლებული, რადგანაც სამყაროს განსხვავებული ღირებულებითი წესები ერთმანეთთან შეურიგებელ ბრძოლაში არიან ჩართულნი. მოხუცმა მილმა - მის ფილოსოფიას ვერ შევაქებ, თუმცა აქ ის მართალი იყო. ერთხელ თქვა: თუ წმინდა გამოცდილებიდან გამოხვალ, პოლითეიზმამდე [9] მიხვალ. პირდაპირ არის ნათქვამი და პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ სწორია. დღეს ჩვენ კარგად ვიცით, რომ წმინდა შეიძლება არ იყოს მშვენიერი, უფრო მეტიც, ის წმინდაა ზუსტად იმიტომ და იმდენად,

რამდენადაც ის არ არის მშვენიერი. ჩვენ ამის მაგალითებს ესაია წინასწარმეტყველის 53-ე თავსა და 21-ე ფსალმუნში აღმოვაჩენთ [10]. ჩვენ ასევე ვიცით, რომ მშვენიერი შესაძლოა კეთილი არც იყოს და ის მშვენიერია სწორედ იმიტომ, რომ კეთილი არ არის; ეს ჩვენთვის ნიცშეს დროიდან არის ცნობილი, უფრო ადრე კი ამგვარ მოსაზრებას თქვენ აღმოაჩენთ „ბოროტების ყვავილებში“ - სწორედ ასე უწოდა ბოდლერმა საკუთარი ლექსების ტომეულს. და უკვე მოარული სიბრძნეა ის, რომ ჭეშმარიტი შესაძლოა არ იყოს არაჩვეულებრივად კარგი და რაღაც ჭეშმარიტებაა სწორედ იმდენად, რამდენადაც ის არც მშვენიერია, არც წმინდა და არც კეთილი.

მაგრამ ეს არის ღმერთების ბრძოლის, ღირებულებათა შეუთავსებლობის ყველაზე ელემენტარული შემთხვევები. როგორ წარმოუდგენიათ „მეცნიერული“ არჩევანის გაკეთება ფრანგულ და გერმანულ ღირებულებებს შორის, არ ვიცი.

აქვეა სხვადასხვა ღმერთებისა და დემონების კამათი: როგორც ელინები მსხვერპლს სწირავდნენ აფროდიტეს, შემდეგ აპოლონს და პირველ რიგში თავისი ქალაქის ყველა ღმერთს, ასე ხდება

დღესაც, მხოლოდ ამ მითიური მოქმედებებისა და ჯადოსნობის გარეშე, შინაგანათ ჭეშმარიტი პლასტიკით შესრულებული.

ამ ღმერთებსა და მათ ბრძოლას კი მართავს ბედისწერა და არა „მეცნიერება“. უბრალოდ უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რა არის ღვთაებრივი ერთისთვის და რა მეორესთვის, და როგორ გვევლინება ის ან ერთ, ან მეორე შემთხვევაში. მაგრამ ამით სრულდება აუდიტორიაში პროფესორის მიერ ამ საკითხის განხილვა - ეს უკანასკნელი, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ამასთან ერთად ეს ძალიან სერიოზული პრობლემაც სრულდება. უბრალოდ, აქ უკვე სიტყვა არა საუნივერსიტეტო კათედრებს, არამედ სხვა ძალებს რჩებათ. ვინ გაბედავს „მეცნიერულად უარყოს“, მთის ქადაგების ეთიკა, მაგალითად, „ბოროტებისთვის წინააღმდეგობის არგაწევის“ მცნებისა ან იგავი ადამიანზე, მარცხენა ლოყაში სილის მიღების შემთხვევაში მარჯვენა ლოყის შეშვერისა? თუმცაღა მაინც ცხადია, რომ აქ, თუ ამას საერო პოზიციიდან შევხედავთ, ქადაგებენ ეთიკას, რომელიც საკუთარი ღირსების შეგრძნებაზე უარის თქმას ქადაგებს. აქ გასაკეთებელია არჩევანი რელიგიურ

ღირსებასა, რომელსაც ეს ეთიკა გვასწავლის და კაცურ ღირსებას შორის, რომლის ეთიკაც სრულიად სხვა რამეს ქადაგებს: „დაუპირისპირდი ბოროტებას, თორემ შენც პასუხისმგებელი იქნები ბოროტების გამარჯვებისთვის.“ ინდივიდის საბოლოო შეხედულებებიდან გამომდინარე, აქედან ერთ-ერთი ეთიკური პოზიცია ეშმაკისეულია, მეორე კი - ღვთისგან მოდის და ინდივიდმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ არის მისთვის ღმერთი და ვინ ეშმაკი. და სწორედ ასეთი ვითარებაა ცხოვრების ყველა სფეროში.

ცხოვრების მეთოდურ-ეთიკური წესის დიდებულმა რაციონალიზმმა, რომლითაც განმსჭვალულია ყველა რელიგიური წინასწარმეტყველება, ეს მრავალღმერთიანობა „ერთის სასარგებლოდ“ დაამხო, შემდეგ კი, გარე და შინაგანი ცხოვრების რეალობების წინაშე, იძულებული გახდა შემოეტანა რელატივიზმი და წასულიყო იმ კომპრომისებზე, რომლებიც ყველასთვის ცნობილია ქრისტიანობის ისტორიიდან. მაგრამ დღეს ეს უკვე რელიგიურ „ყოველდღიურობად“ არის ქცეული.

მრავალრიცხოვანი უძველესი ღმერთები, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი ხიბლი და შესაბამისად მიიღეს უსახო ძალების სახე, გამოდიან საფლავებიდან, ცდილობენ დაიპყრონ ჩვენი ცხოვრება და კვლავ იწყებენ თავიანთ მარადიულ ბრძოლას ერთმანეთთან. მაგრამ რაც თანამედროვე ადამიანს და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, ყველაზე მეტად უჭირს არის ის, რომ იყოს ამ ყოველდღიურობის შესაბამისი. ყოველგვარი „განცდებზე“ გამოკიდება ამ სისუსტიდან აღმოცენდება, რადგანაც უუნარობა თვალებში ჩახედო ბედისწერას, დროის ბედისწერას, არის კიდეც სისუსტე.

თუმცა, ჩვენი კულტურის ბედისწერა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ყველანი კვლავ აშკარად ვაცნობიერებთ მას და ეს მაშინ, როდესაც ათასწლეულების მანძილზე, დიდებული ქრისტიანული ეთიკის პათოსით გამსჭვალულნი, ჩვენ ვერ ვამჩნევდით ამ ძალებს. თუმცა, ამ საკითხებზე მსჯელობა საკმარისია, რადგანაც მას ძალიან შორს მივყავართ. მაგრამ ის ახალგაზრდები, რომლებიც იტყვიან, „ჩვენ დავდივართ ლექცი-

აზე, რათა განვიცადოთ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ანალიზი და ფაქტების კონსტატაცია“, შეცდომაში შედიან, როდესაც პროფესორში ცდილობენ არა იმის დანახვას, რასაც ის თავის წინ ხედავს: ბელადს, და არა მასწავლებელს.

მაგრამ ჩვენ კათედრაზე წარდგენილები ვართ, მხოლოდ როგორც მასწავლებლები. ეს ორი განსხვავებული რამაა, რაც ადვილად დასტურდება. ამერიკაში ასეთ რამეს ხშირად შეიძლება შეხვდეთ თავისი უხეში პირველყოფილი გამოვლინებით. ამერიკელი ყმაწვილი, ევროპელთან შედარებით შეუდარებლად ცოტას სწავლობს. მიუხედავად წარმოუდგენლად ბევრი გამოცდისა, ის თავისი სასწავლო ცხოვრების სულისკვეთებით, ჯერ კიდევ ვერ გახდა „გამოცდის ადამიანი“, როგორც ეს გერმანელმა ბიჭუნამ მოახერხა. რადგანაც ბიუროკრატია, რომელსაც დიპლომი სჭირდება, რომელიც აფიქსირებს გამოცდის შედეგებს და ვისთვისაც დიპლომი ადამიანურ კარიერაში შეღწევის ბილეთია, იქ ჯერ კიდევ ჩასახვის სტადიაშია.

ახალგაზრდა ამერიკელი არავის და არაფრის მიმართ არ განიცდის პატივისცემას: არც ტრადიციის, არც სამსახურის; ის პატივს მხოლოდ საკუთარ, პირად ღვაწლს სცემს - აი, სწორედ ამას უწოდებს ამერიკელი „დემოკრატიას“. როგორი დამახინჯებულიც არ უნდა იყოს რეალობის დამოკიდებულება ამგვარი იდეური შინაარსის მიმართ, იდეური შინაარსი სწორედ ასეთია და აქ ჩვენ სწორედ ამაზე ვსაუბრობთ. საკუთარ პედაგოგზე ამერიკელ ბიჭუნას სრულიად გარკვეული წარმოდგენა აქვს: მამაჩემის ფულის სანაცვლოდ ის ჩემზე ყიდის საკუთარ ცოდნას და მეთოდურ პრინციპებს ზუსტად ისე, როგორც ბოსტნეულით მოვაჭრე, რომლისგანაც დედა კომბოსტოს ყიდულობს. და წერტილი. თუმცა, თუ მასწავლებელი, მაგალითად ფეხბურთელია, ამ სფეროში ის ბელადის სტატუსით გამოდის. მაგრამ თუ ის ასეთი (ან რაღაც ამგვარი სპორტის სხვა სახეობაში) არ არის, მაშინ ის მხოლოდ მასწავლებელია და სხვა არაფერი. და ახალგაზრდა ამერიკელს აზრადაც არ მოუვა იყიდოს მისგან „მსოფლმხედველობა“ ან წესები, რომლებითაც ცხოვრებაში უნდა იხელმძღვანელოს. რა თქმა უნდა, ამ უხეში

ფორმით ჩვენ უარვყოფთ ამას. მაგრამ, განა ამ განზრახ გამძაფრებულ გრძნობებში არ არის სიმართლის მარცვალი?

სტუდენტები მოდიან ჩვენთან ლექციებზე, ითხოვენ ჩვენგან რაღაცას, როგორც ბელადისგან, და ვერ ხვდებიან, რომ ასი პროფესორიდან სულ მცირე ოთმოცდაცხრამეტი ფეხბურთის სფეროში არა მხოლოდ ოსტატები არ არიან, არამედ არც აქვთ არც ამის და არც იმის პრეტენზია, რომ „ბელადები“ იყვნენ, რომლებიც მიუთითებენ სტუდენტებს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ.

ადამიანის ღირებულებები იმაზე როდია დამოკიდებული, აქვს თუ არა მას ბელადის თვისებები. ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის ის თვისებები, რომლებიც ადამიანს დიდ მეცნიერად ან მასწავლებელად ხდის, რომლებიც მას ბელადად აქცევს პრაქტიკულ ცხოვრებაში, ან, უფრო კონკრეტულად, პოლიტიკაში. თუ ვინმე ამ თვისებასაც ფლობს, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს წმინდა წყლის შემთხვევითობასთან და ძალიან სახიფათოა, თუკი ყველა, ვინც იკავებს კათედრას იძულებულია იყოს ასეთი. კიდევ უფრო სახი-

ფათოა, თუ ყველა პროფესორი შეეცდება აუდიტორიის წინაშე ბელადის როლში წარდგეს. ამიტომ, ისინი, ვინც თვლიან, რომ ამ როლს კარგად გაართმევენ თავს, ხშირად ყველაზე ცუდად აკეთებენ ამას და, რაც მთავარია, კათედრაზე არსებული სიტუაცია არ იძლევა საშუალებას, დაამტკიცონ ეს.

პროფესორი, რომელიც გრძნობს, რომ მისი მოწოდებაა ახალგაზრდობის მართვა და მათ ნდობასაც იმსახურებს, ახალგაზრდებთან პირად ურთიერთობებში შეიძლება ძალიან ახლო ადამიანი - „მათიანი“ იყოს.

და თუ ის გრძნობს, რომ მოწოდებულია ჩაერთოს მსოფლმხედველობათა და პარტიულ შეხედულებათა ბრძოლაში, მას შეუძლია ეს სასწავლო აუდიტორიის მიღმა, ცხოვრებისეულ სცენაზე განახორციელოს: პრესაში, კრებებზე, წრეებში - სადაც კი მას სურს. მაგრამ ძალიან კომფორტული იქნებოდა საკუთარი მოწოდების დემონსტრირება იქ, სადაც დამსწრენი, მათ შორის შესაძლოა სხვაგვარად მოაზროვნენიც, იძულებულნი არიან ჩუმად იყვნენ.

დაბოლოს, თქვენ შეიძლება იკითხოთ: თუ ყველაფერი ასეა, მაშინ პოზიტიურს რას იძლევა მეცნიერება პრაქტიკული და პირადი „ცხოვრებისთვის“? ამით ჩვენ კვლავ ვდგავართ მეცნიერების, როგორც „მოწოდების“ პრობლემის წინაშე. პირველ რიგში, მეცნიერება ქმნის ცხოვრების - როგორც გარეგანი საგნებით, ასევე ადამიანების ქცევებით - დაუფლების ტექნიკას, სხვადასხვა გათვლების გზით. მაგრამ თქვენ შეიძლება თქვათ, რომ ეს ბოსტნეულით ვაჭრობის დონეა. მე თქვენ სრულიად გეთანხმებით. მეორე, მეცნიერება გვთავაზობს აზროვნების მეთოდებს, ქმნის სამუშაო ინსტრუმენტებს და შეიმუშავებს მათთან ურთიერთობის უნარებს, რასაც ბოსტნეულით ვაჭრობა ვერ გვთავაზობს. შესაძლოა, თქვენ თქვათ: მაგრამ, მეცნიერება ბოსტნეული არ არის, მაგრამ არც იმ საშუალებაზე მეტია, რომელიც ბოსტნეულის შესაძენად არის საჭირო. მოდით დღეს ეს თემა ღიად დავტოვოთ. მაგრამ ამაზე მეცნიერების საქმე, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ სრულდება; ჩვენ შეგვიძლია თქვენ რაღაც მესა-

მესთან ურთიერთობაში შეგიწყოთ ხელი, კერძოდ, სიცხადის შეტანაში. ცხადია, იმ პირობით, რომ ის თავად ჩვენ გაგვაჩნია.

თუ ეს ასეა, ჩვენ შეგვიძლია აგიხსნათ. ღირებულებების პრობლემასთან დაკავშირებით, რომელზეც ყოველ ჯერზე ვსაუბრობთ, შეგვიძლია პრაქტიკულად სხვადასხვა პოზიციების დაკავება. სიმარტივისთვის, მაგალითისთვის სოციალური მოვლენის აღებას გთავაზობთ.

თუ გარკვეულ პოზიციას იკავებენ, მაშინ მეცნიერების გამოცდილების გათვალისწინებით შესაბამისი საშუალებაც უნდა გამოიყენონ, რათა ეს პოზიცია პრაქტიკაში გატარდეს. ეს საშუალებები შესაძლოა თავისთავად იყოს ისეთი, რომ თქვენ აუცილებლად თვლიდეთ მის უარყოფას. ამ შემთხვევაში, აუცილებელია არჩევანის გაკეთება მიზანსა და მისი მიღწევის აუცილებელ საშუალებას შორის.

„ააშკარავებს“ თუ არა ეს საშუალებები მიზანს? პედაგოგმა, თქვენ ამგვარი არჩევანის აუცილებლობა უნდა დაგანახოთ. მეტი მას არაფერი შეუძლია მანამ, სანამ პედაგოგად რჩება და ჯერ კიდევ არ გამხდარა დემაგოგი. მას, ცხადია,

შეუძლია გითხრათ: თუ თქვენ გსურთ რაიმე მიზანს მიაღწიოთ, მაშინ უნდა მიიღოთ ასევე შესაბამისი შედეგებიც, რომელთაც, როგორც გამოცდილება ცხადჰყოფს, თან სდევს მიზნის მისაღწევად საჭირო ქმედებები.

ყველა ეს პრობლემა შესაძლოა ტექნიკოსსაც შეექმნას, ისიც ხომ ხშირად დგას არჩევანის წინაშე ნაკლებ ბოროტებასა ან შედარებით უკეთეს ვარიანტს შორის. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ერთი უმთავრესი რამ - მიზანი. მაგრამ სწორედ ის, რადგან საუბარია ნამდვილად „უკანასკნელ“ პრობლემებზე, ჩვენ არ გვაქვს. ასე რომ, ჩვენ უკანასკნელ აქტამდე მივედით, რომელიც მეცნიერებამ, როგორც ასეთმა, უნდა განახორციელოს სიცხადის მისაღწევად. იმავდროულად, ჩვენ მივუახლოვდით თავად მეცნიერების საზღვრებს.

ჩვენ შეგვიძლია და ვალდებული ვართ, რომ გითხრათ: ზოგიერთი პრაქტიკული მოწყობილობები შინაგანი თანმიმდევრულობით და შესაბამისად, პატიოსნებით შეიძლება მომდინარეობდეს - მათი სულისკვეთების შესაბამისად - ამა თუ

იმ მსოფლმხედველობითი პოზიციიდან (შეიძ-ლება ერთიდან, შეიძლება სხვადასხვისგან) გამო-მდინარე, მაგრამ სხვებისგან - არა.

თუ თქვენ აირჩევთ ამ დამოკიდებულებას, მაშინ თქვენ, თუ ხატოვნად ვიტყვით, ემსახუ-რებით, გადატანითი მნიშვნელობით, ერთ ღმერთს და შეურაცხყოფთ ყველა სხვა ღმერთს. რადგან თუ დარჩებით საკუთარი თავის ერთგუ-ლი, მაშინ აუცილებლად მიაღწევთ გარკვეულ საბოლოო შინაგან შედეგებს. ამის გაკეთება პრინ-ციპში შესაძლებელია. უკანასკნელი დებულე-ბების მათ შედეგებთან კავშირის გამოვლენა - ფილოსოფიის, როგორც სოციალური დისციპლი-ნის და ცალკეული მეცნიერებების ფილოსოფი-ური ბაზის ამოცანაა.

ჩვენ შეგვიძლია, თუ გვესმის საკუთარი საქ-მის (რაც აქ უნდა ვივარაუდოთ), ვაიძულოთ ინდივიდი - ან სულაც დავეხმაროთ მას - გან-ჭვრიტოს საკუთარი საქმიანობის საბოლოო არსი. მეჩვენება, რომ ეს ამოცანა არ არის უმნიშვნელო, თუნდაც წმინდა პირადი ცხოვრებისთვის. თუ რომელიმე პედაგოგი ამის განხორციელებას შეძ-ლებს, მაშინ მე ვიტყოდი, რომ ის ემსახურება

„ზნეობრივ“ ძალებს, რადგან მას სიცხადე მოაქვს; რომ ის მით უფრო უკეთესად შეასრულებს თავის დავალებას, რაც უფრო კეთილსინდისიერად მოერიდება მსმენელებში საკუთარი პოზიციის, თვალსაზრისის თავსმოხვევას.

ის, რაზეც აქ ვსაუბრობ, გამომდინარეობს ერთი ძირითადი დებულებიდან, კერძოდ იქიდან, რომ საკუთარ თავზე დაფუძნებულმა და თავისთავად გააზრებულმა ცხოვრებამ იცის მხოლოდ ღმერთების მარადიული ბრძოლა, იცის (თუ სახეს, გამოსახულებას არ მივმართავთ) მხოლოდ მეტად პრინციპიალური, ყველაზე ფუნდამენტური ცხოვრებისეული პოზიციების შეუსაბამობა და მათი შეურიგებლობა, შესაბამისად, მათ შორის არჩევანის გაკეთების აუცილებლობაც. იმსახურებს კი მეცნიერება ამ პირობებში იმას, რომ იქცეს ვინმეს „მოწოდებად“ და აქვს თუ არა მას რაიმე ობიექტურად ღირებული „მოწოდება“ - ეს კვლავაც ღირებულებითი მტკიცებაა, რომლის განხილვაც აუდიტორიაში შეუძლებელია, რადგანაც დადებითი პასუხი მასზე არის აუდიტორიაში პედაგოგის ყოფნის წინაპირობა. პირადად მე გავეცი ამ კითხვას დადებითი პასუხი

საკუთარი საქმიანობით. დადებითი პასუხი ამ შეკითხვაზე არის ასევე წინაპირობა იმ თვალსაზ-რისისა, რომელსაც იზიარებს, ან ქმნის ილუზიას, რომ იზიარებს ახალგაზრდობა, რომელსაც სძულს ინტელექტუალიზმი, როგორც ეშმაკი. და აქ სამართლიანია სიტყვები: „ეშმაკი მოხუცია - დაბერდით, რათა მას გაუგოთ“. ეს წინააღ-მდეგობა არ უნდა იქნას მიღებული პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ გსურთ რა გაუსწორდეთ ეშმაკს, არ უნდა გაიქცეთ მის დანახვაზე, როგორც ამას ჩვეულებ-რივ ანიჭებენ უპირატესობას, არამედ გადახე-დოთ მის მიერ განვლილ გზას და დაინახოთ მისი ძალა და საზღვრები.

დღეს მეცნიერება არის პროფესია, რომელსაც ახორციელებენ, როგორც სპეციალურ დისციპ-ლინას; ის ემსახურება თვითშემეცნებისა და ფაქტობრივი კავშირების ცოდნის საქმეს. მეც-ნიერება არ არის ნათელმხილველებისა და წინას-წარმეტყველთა განსაკუთრებული ნიჭი, რომელ-საც ხსნა და გამოცხადება მოაქვს; ის არც ბრძენთა და ფილოსოფოსთა სამყაროს არსის შესახებ გან-

სჯის აუცილებელი ნაწილია. ის ჩვენი ისტორიული ვითარების გარდაუვალი ფაქტია, რომლისგანაც ვერ გავიქცევით, სანამ საკუთარი თავის ერთგული ვიქნებით.

და თუ ჩვენში კვლავ ტოლსტოი ალაპარაკდება და გვკითხავს - „თუ არა მეცნიერება, მაშინ ვინ გაგვცემს პასუხს კითხვაზე: რა ვქნათ, როგორ ვაშენოთ საკუთარი ცხოვრება?“ - ან იმ ენით, როგორც ვსაუბრობთ დღეს - „ერთმანეთთან მებრძოლი ღმერთებიდან, ვის უნდა ვემსახუროთ?“, ან შესაძლოა უნდა ვემსახუროთ სხვა ღმერთს და ვინ არის ის? „- მაშინ უნდა ვთქვათ: ამაზე პასუხს მხოლოდ წინასწარმეტყველი ან მესია გასცემს. თუ ის არ არსებობს, ან თუ მისი ქადაგების აღარ სჯერათ, მაშინ თქვენ სრულიად ცხადია, რომ ვერაფერს ვერ მიაღწევთ იმით, რომ ათასობით პროფესორი, რომელთაც ხელფასს სახელმწიფო უხდის, ან აუდიტორიაში მყოფი პრივილეგირებული პატარა წინასწარმეტყველები ამ როლის მორგებას ცდილობს. ამით თქვენ მხოლოდ ხელს უშლით იმის გაცნობიერებას, რომ არ არსებობს წინასწარმეტყველი, რომლის მოლოდინიც ჩვენს ახალგაზრდა თაობას აქვს. ვფიქრობ, რელიგიური

თვალსაზრისით ნამდვილად „მუსიკალურ“ ადამიანს არ გამოადგება, თუ მისგან და სხვებისგანაც დამალავენ იმ ძირითად ფაქტს, რომ მათი ბედი - ღვთისგან და წინასწარმეტყველებისგან მივიწყებულ ეპოქაში ცხოვრებაა; თუ ამ გარემოებას დამალავენ, ისეთი სუროგატების დახმარებით, როგორიცაა კათედრებიდან მსგავსი წინასწარმეტყველებების ქადაგება, მგონია, რომ ამის წინააღმდეგ მისმა რელიგიურმა გულწრფელობამ უნდა გაილაშქროს.

მაგრამ როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს „თეოლოგიის“ არსებობისა და მის „მეცნიერებად“ ყოფნის პრეტენზიაზე? შევეცადოთ გვერდი არ ავუაროთ პასუხს. „თეოლოგია“ და „დოგმები“, არ არსებობს ყველა რელიგიაში, მაგრამ ის მხოლოდ ქრისტიანობაშიც არ არის წარმოდგენილი. თუ წარსულს გადავხედავთ, შესაძლოა, მათ საკმაოდ განვითარებულ ფორმებს შევხვდეთ ისლამში, მანიქეიზმში, გნოსტიციზმში, სუფიზმში, პერსიზმში, ბუდიზმში, ინდუისტურ სექტებში, დაოსიზმში, უპანიშადებში და იუდაიზმშიც. თუმცა, ცხადია, მათ განსხვავებული სისტემური განვითარება ჰპოვეს და

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ დასავ-ლურმა ქრისტიანობამ, განსხვავებით იმისა, რაც იუდაიზმმა შექმნა თეოლოგიის სფეროში, არა მხოლოდ უფრო სისტემატურად განავითარა (ან მიისწრაფვის ამისკენ), არამედ აქ მის განვითა-რებას შეუდარებლად დიდი ისტორიული მნიშ-ვნელობა ჰქონდა. და არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ დასავლური ქრისტიანობა იუდაიზ-მის საწინააღმდეგოდ შეიქმნა. თუმცა, განვითა-რებას ქრისტიანობაში მეტი ისტორიული მნი-შვნელობა ჰქონდა. ამას საფუძველი ელინურმა სულმა ჩაუყარა და დასავლეთის მთელი თეო-ლოგია ზუსტად ისე მიდის მასთან, როგორც აღ-მოსავლური თეოლოგია ინდურ აზროვნებამდე.

ნებისმიერი თეოლოგია რელიგიური ხსნის ინტელექტუალურ რაციონალიზაციას წარმო-ადგენს. ვერც ერთი მეცნიერება ვერ დაუმტკიცებს საკუთარ ღირებულებას მას, ვინც მის წინაპი-რობებს უარყოფს. პრინციპში, საკუთარი როლის შესასრულებლად და საკუთარი არსებობის გასა-მართლებლად ნებისმიერი თეოლოგია ამატებს სპეციფიკურ წინაპირობებს. მათ აქვთ განსხვა-ვებული აზრი და განსხვავებული მოცულობა.

ნებისმიერი თეოლოგიისთვის, მათ შორის, მაგალითად ინდუისტურისთვის, ძალაში რჩება წინაპირობა: სამყაროს უნდა ჰქონდეს აზრი, და მისთვის კითხვა იმაში მდგომარეობს, როგორ განიმარტოს სამყარო ისე, რათა შესაძლებელი იყოს მისი არსის გააზრება.

კანტი თავის შემეცნების თეორიაში, შემდეგი დებულებიდან ამოდიოდა: მეცნიერული ჭეშმარიტება არსებობს და მას აქვს ძალა, შემდეგ კი სვამდა კითხვას: რა აზრობრივ წინაპირობებში არსებობს და აქვს აზრი ამგვარ მტკიცებას? ზუსტად ასევე თანამედროვე ესთეტიკოსები (გააზრებულად, მაგალითად, გეორგ ლუკაჩი, ან უბრალოდ, ფაქტიურად) ამოდიან წიპირობიდან, რომ არსებობს ხელოვნების ნაწარმოები, შემდეგ კი სვამენ კითხვას: და მაინც, ბოლოს და ბოლოს, როგორ არის ეს შესაძლებელი?

თუმცა, თეოლოგები, როგორც წესი არ კმაყოფილდებიან ამგვარი (არსებითად, რელიგიურ-ფსიქოლოგიური) წინამძღვრით, არამედ ამოდიან უფრო შორს მიმავალი წანამძღვრიდან -„გამოცხადების“, როგორც ფაქტის რწმენიდან, რაც ასე

მნიშვნელოვანია ხსნისთვის და აზრიანი ცხოვრების წესის გააზრებისთვის. ისინი უშვებენ, რომ გარკვეულ მდგომარეობას და ცხოვრების წესს, აქვთ სიწმინდის თვისებები, ანუ ქმნიან ცხოვრების წესს, რომელიც სავსეა რელიგიური მრწამსით.

თქვენ კვლავ იკითხავთ: როგორ ავხსნათ სავალდებულოდ აღიარებული წანამძღვრები, რათა მას ჰქონდეს რაიმე აზრი? თავად ასეთი წანამძღვრები თეოლოგიისთვის „მეცნიერების“ გაღმა ნაპირია, არის არა „ცოდნა“, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ გარკვეული აზრით, ერთგვარი „მონაპოვარია“. ვისაც არ აქვს რწმენა ან სხვა რამ, რაც აუცილებელია რელიგიისთვის, მისთვის თეოლოგია ვერაფერს შეცვლის, მითუმეტეს, ვერც ერთი სხვა მეცნიერება. პირიქით, ნებისმიერ „პოზიტიურ“ თეოლოგიაში მორწმუნე აღწევს იქამდე, სადაც ძალაშია ავგუსტინის დებულება: «Credo non quid, sed quia absurdum est» [11]. „ინტელექტის მსხვერპლად შეწირვის“ ვირტუოზული აქტი არის პოზიტიურ-რელიგიური ადამიანის მთავარი ნიშანი. და ეს

სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ღირებულებითი დაძაბულობის მოხსნა მეცნიერებისა და რელიგიის სფეროებს შორის შეუძლებელია, მიუხედავად თეოლოგიის არსებობისა (შესაძლოა, სწორედ მისი წყალობითაც).

„ინტელექტს მსხვერპლად“ ჩვეულებრივ სწირავენ: ყმაწვილი - წინასწარმეტყველს, მორწმუნე - ეკლესიას. ჯერ არასდროს წარმოქნილა ახალი წინასწარმეტყველება იმის გამო (მე განზრახ კიდევ ერთხელ მოვიყვან აქ ამ სურათს, რომელიც ბევრისთვის საძრახისი იყო), რომ ზოგიერთი თანამედროვე ინტელექტუალი განიცდის მოთხოვნილებას ანტიკვარული ნივთები განათავსოს საკუთარ სულში, რომელთა ნამდვილობა გარანტირებული იქნებოდა და ამ ყველაფერთან ერთად იხსენებენ, რომ მათ შორის რელიგიაც იყო; მართალია, ეს მათ არ აქვთ, მაგრამ ისინი აშენებენ თავისთვის, როგორც შემცვლელს, ერთგვარი სახლის სამლოცველოს, რომელიც გასართობად არის მორთული სამყაროს ყველა კუთხიდან შეგროვებული წმინდანთა ხატებით, ან ყველანაირი განცდებისგან ქმნიან სუროგატს, რო-

მელსაც ანიჭებენ მისტიური სიწმინდის ღირსებას და რომლითაც წიგნის ბაზარზე ვაჭრობენ. ეს ან საკუთარი თავის მოტყუებაა ან თაღლითობა. პირიქით, ეს სულაც არ არის სისულელე, არამედ რაღაც სერიოზულს და რეალურს (მაგრამ შესაძლოა, საკუთარი თავის არასწორი ინტერპრეტაცია) აქვს ადგილი მაშინ, როდესაც ზოგიერთი ახალგაზრდული კავშირი, რომელიც გაიზარდა ბოლო წლების სიმშვიდეში, საკუთარ ერთობაში რელიგიურ, კოსმიურ ან მისტიურ ერთობას ხედავს. ჭეშმარიტი ძმობის ნებისმიერ აქტს სამეფოში შეაქვს რაღაც ისეთი, რაც საუკუნოდ რჩება; მაგრამ მე საეჭვოდ მეჩვენება წმინდა ადამიანური ურთიერთობებისა და ადამიანური საზოგადოების ღირსების ამაღლების მცდელობა მათი რელიგიური ინტერპრეტაციით. თუმცა, ეს არ არის ამ საკითხის განხილვის ადგილი.

ჩვენი ეპოქის ბედი, მისთვის დამახასიათებელი რაციონალიზაციითა და ინტელექტუალიზაციით, და პირველ რიგში, სამყაროს „განჯადოება“ [12] იმაში მდგომარეობს, რომ მაღალი კეთილშობილური ღირებულებები განიდევნენ და წავიდნენ საზოგადოებრივი სფეროდან ან

მისტიური ცხოვრების მიღმურ სამეფოში, ან ცალკეული ინდივიდების პირდაპირი ურთიერთობების ძმურ სიახლოვეში. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენი მაღალი ხელოვნება ინტიმურია და არა მონუმენტური; არ არის შემთხვევითი, რომ დღეს მხოლოდ ვიწრო საზოგადოებრივ წრეებში, პირად ურთიერთობებში, pianissimo [13] ფეთქავს ის, რაც ადრე, ბობოქარი ხანძარივით, წინასწარმეტყველური სულისკვეთებით, მოძრაობდა დიდ საზოგადოებებში და აერთიანებდა მათ. თუკი ჩვენ ძალის გამოყენებით შევეცდებით მონუმენტური ხელოვნების გემოვნების გაღვივებას და მის „გამოგონებას“, მაშინ მივიღებთ ისეთივე საცოდავ და მახინჯ რამეს, როგორიც უკანასკნელ ათწლეულში ბევრ ძეგლში ვნახეთ.

თუ შევეცდებით ახალი რელიგიური ნეოპლაზმების შემოღებას ახალი, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველების გარეშე, მაშინ გაჩნდება რაღაც თავისი შინაარსით მსგავსი, მაგრამ უარესი რამ. და წინასწარმეტყველებები კათედრებიდან, საბოლოო ჯამში შექმნის მხოლოდ ფანტასტიკურ სექტებს. მაგრამ ვერასდროს შექმნის ჭეშმარიტ ერ-

თობებს. ის, ვინც ვაჟკაცურად ვერ შეძლებს ეპოქის ამ ბედს გაუძლოს, მას უნდა ვუთხრათ: სჯობს, ის ჩუმად, საზოგადო რეკლამის გარეშე, რომლებიც ჩვეულებრივ იქმნება რენეგატების მიერ, უხმაუროდ და უბრალოდ დაბრუნდეს ძველი ეკლესიების ფართოდ და გულწრფელად გახსნილ მკლავებში.

ამის გაკეთება კი რთული არ არის. მან, ასეა თუ ისე, „მსხვერპლად“ საკუთარი ინტელექტი უნდა მიიტანოს - ეს გარდაუვალია. ჩვენ მას არ დავზრახავთ, თუ მას ასეთი მსხვერპლის გაღება რეალურად შეუძლია. რადგანაც უნარი, რელიგიას მსხვერპლად შესწირო საკუთარი ინტელექტი, არის რაღაც განსხვავებული ზნეობრივი თვალსაზრისით, ვიდრე მცდელობა - თავი აარიდო მოვალეობას იყო კეთილსინდისიერი ინტელექტუალი, რაც მაშინ ხდება, როდესაც არ შეუძლიათ ვაჟკაცურად და ნათლად დააფიქსირონ საკუთარი საბოლოო პოზიცია, არამედ ამსუბუქებენ ამ მოვალეობის შესრულებას მყიფე რელატივიზმით. ეს პოზიცია უფრო მაღალ ღირებულებად მიმაჩნია, ვიდრე კათედრიდან წინასწარმეტყველება, რომელიც ვერ ხვდება, რომ

აუდიტორიის კედლებში არავითარ კეთილის-მქნელს, გარდა ერთისა, აზრი არ აქვს. ის ერთი წინასწარმეტყველება კი, უბრალოდ ინტელექ-ტუალურ გულწრფელობას ნიშნავს. მაგრამ ასეთი გულწრფელობა მოითხოვს ვთქვათ, რომ დღეს მათი მდგომარეობა, ვინც ახალ წინასწარმე-ტყველსა და მხსნელს ელოდება, ძალიან ჰგავს მათ მდგომარეობას, ვისზეც ესაიას ერთ-ერთ წინასწარმეტყველებაშია მოთხრობილი; საუბა-რია იმ პერიოდის ედემის ბაღის დარაჯის ერთ ლამაზ სიმღერაზე, რომელიც ებრაელების გა-ნდევნისას მსახურობდა:

„დუმას განაჩენი. მე მომძახიან სეყირიდან: ყარაულო, ღამის რომელია? ყარაულო, ღამის რომელია? ამბობს ყარაული: დილა დგება და ღამეა მაინც. თუ კითხვა გინდათ, იკითხეთ; გაბრუნდით და ისევ მოდით!“[14].

ხალხი, რომელსაც ეს სიტყვები ეკუთვნოდა, კითხვას სვამდა და ორი ათასი წლის მანძილზე ელოდებოდა პასუხს, და ჩვენ ვიცით მისი არაჩვეულებრივი ბედის შესახებ. აქედან უნდა ვისწავლოთ გაკვეთილი: მხოლოდ მოლოდინითა

და მწუხარებით ვერაფერს გახდები, აუცილებელია მოქმედება განსხვავებულად - უნდა მიმართო საკუთარ საქმეს და შეესაბამებოდე „დროის მოთხოვნას“ - როგორც ადამიანური, ასევე პროფესიული თვალსაზრისით. მოცემული მოთხოვნა იქნება მარტივი და ცხადი, თუ ყველა იპოვის საკუთარ დემონს და იქნება მორჩილი ამ დემონისა, რომელიც მისი ცხოვრების ძაფს ქსოვს.

შენიშვნები

1. ნაშრომი წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც მაქს ვებერმა წაიკითხა 1917 წლის 7 ნოემბერს, მიუნხენის უნივერსიტეტში, იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა სტუდენტებისთვის, რა არის მათი, როგორც მომავალი მეცნიერებისა და პედაგოგების მოწოდება.

2. **ჰოტენტოტები** (საკუთარი სახელწოდება კოიკოინ — „ნამდვილი ხალხი“) — ნამიბიის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მცხოვრები ხალხი. ლაპარაკობენ ჰოტენტოტურ ენებზე, იციან აფრიკაანსიც. რელიგიით უმრავლესობა პროტესტანტია. ბუშმენების მსგავსად, ჰოტენტოტები სამხრეთ აფრიკის უძველესი მოსახლეობაა, რომლებიც ბანტუ ხალხებმა მატერიკის სამხრეთ-დასავლეთ უკაცრიელ რაიონებში განდევნეს, ხოლო XVII საუკუნიდან — XX საუკუნის დასაწყისამდე ევროპელმა კოლონიზატორებმა გაანადგურეს. ამჟამად ჰოტენტოტების ნაწილი ცხოვრობს რეზერვაციებში. მისდევენ მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას. უმრავლესობა მუშაობს ევროპელთა ფერმებსა და ქარხნებში

3. **გერმანული სიტყვა «Beruf»** შეიძლება ითარგმნოს როგორც "პროფესია", ასევე როგორც "მოწოდება". პროტესტანტიზმის ანალიზის საფუძველზე, ვებერი მივიდა დასკვნამდე, რომ ტერმინის „Beruf“ ორმხრივი მნიშვნელობა შემთხვევითი არ არის: ის აღმოცენდება პროფესიული საქმიანობის, როგორც ღვთაებრივი მო-

წოდების გაგებიდან და იწვევს ევროპული საზოგადოებისა და ევროპული კულტურისათვის მნიშვნელოვან შედეგებს. ამიტომ ჩვენ „Beruf“ ის თარგმნისას ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობას ვიყენებთ.

4. **ტემპერაცია** მუსიკაში - ინტერვალური შეფარდების გაწონასწორება ბგერის სიმაღლებრივი სისტემის საფეხურებს შორის.

5. **სვამერდამი იან** - (1637-1680 წ.წ.), ჰოლანდიელი ბუნებისმეტყველი, ცნობილი მიკროსკოპისტი, ანატომი და ბიოლოგი. ზოგიერთი შეფასებით, მას უწოდებენ „მწერების შესახებ ჭეშმარიტი მეცნიერების დამფუძნებელს“ და „მწერების ანატომიის დამფუძნებელს"

6. **პიეტიზმ**ი – (ლათ. pietas ღვთისმოსაობა) ერთ-ერთი მიმდინარეობა ლუთერანულ ეკლესიაში; წარმოიშვა მე-17 საუკუნეში.

7. იდეები, რომლებიც 20-30-იან წლებში განვითარდა ეგზისტენციალიზმში, აკრიტიკებდა მეცნიერულ მსოფლმხედველობას, როგორც ტექნიცისტულს და სამეცნიერო რაციონალურობაში ხედავდა პრინციპს, რომელსაც თანამედროვე სამყარო სულიერების დაკარგვამდე მიჰყავდა, მაქს ვებერს უკავშირდება. ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, კარლ იასპერსი, არაერთხელ მოიხსენიებს ვებერს, როგორც მოაზროვნეს, რომელმაც რევოლუცია მოახდინა თანამედროვე აზროვნებაში და ევროპული ცივილიზაციის პერსპექტივებთან დაკავშირებით მთელი რიგი ახალი პოზიციების საფუძველი შექმნა.

8. **პოზიტივისტურმა** მოთხოვნამ, რომ მოხდეს ფაქტის გამიჯვნა მისი ინტერპრეტაციისაგან და საქმე გვქონდეს მხოლოდ ფაქტთან, რომელიც შეძლებისდაგვარად თავისუფალი იქნება ყველა „მეტაფიზიკური“ მსოფლმხედველობის წინაპირობებისგან, აიძულა ვებერი, რომ განშორებოდა არა მხოლოდ გერმანული კულტურის ფილოსოფიის ჰეგელის ტრადიციას, არამედ დილტეის სკოლასაც, შპენგლერის ისტორიულ კონცეფციას. ერთი სიტყვით, მთელ იმ მიმართულებას, რომელსაც შემდეგ (განსაკუთრებით ამერიკულ სოციოლოგიაში) „ისტორიციზმს“ უწოდებდნენ.

9. **პოლითეიზმი*** (poly ბევრი და theos ღმერთი) - რელიგია, რომელიც მრავალ ღმერთს აღიარებს; მრავალღმერთობა.

10 „ამოიზარდა როგორც მორჩი მის წინაშე და როგორც ფესვი ურწყული მიწიდან; არც ღირსება ჰქონია და არც მშვენება, რომ ზედ შეგვეხედა, არც იერი, რომ მივეზიდეთ. საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული, გატანჯული და სნებამორეული, ერთი იმათგანი, ვისაც პირს არიდებენ. საძულველი იყო და არად ვაგდებდით. ნამდვილად კი, მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი; ჩვენ კი გვეგონა, ღვთისგან იყო ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული.“ (ესაია, 53, 2-4)

„მე კი მატლი ვარ და არა კაცი, საძრახისი ადამიანთა და საძულველი ერისა. ყველა, ვინც მხედავს, მე დამცინის; მქირდავენ და თავს გადააქნევენ.“ (ფსალმუნნი, ფსალმუნი 21)

11. „მე მწამს არა იმის, რაც აბსურდია, არამედ იმიტომ, რომ ეს აბსურდია“.

12 «სამყაროს განჯადოება“ სოციალურ მეცნიერებაში მაქს ვებერის მიერ შემოტანილი ცნებაა (Entzauberung der Welt გერმ.) და ნიშნავს სამყაროს სურათის ცვლილებას – რელიგიასა და სასწაულებზე ორიენტირებული მსოფლმხედველობიდან რაციონალიზმზე ორიენტირებულ მსოფლმხედველობაზე გადასვლას.

მ. ვებერის მიერ გამოყენებული მეტაფორა აღწერს პროცესს, რომლის დროსაც ადამიანები შეწყვეტენ მის გარშემო არსებულ სამყაროს ახსნას ჯადოსნური ძალების დახმარებით, ეყრდნობიან რა მეცნიერებას და რაციონალურ აზროვნებას. თუ „მოჯადოებულ სამყაროში“ მოვლენებისა და პროცესების ახსნა-განმარტებები მიმართულია სხვა სამყაროში მოქმედი ძალების ქმედებებზე, ხოლო სიტყვის თანამედროვე გაგებით მიზეზობრიობა არ არსებობს, მაშინ „განჯადოებულ სამყაროში“ მიმდინარე პროცესები აღწერილია მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით.

ტერმინის „სამყაროს განჯადოება“ პირველი გამოყენება ხდება სწორედ ამ ლექციის დროს, ხოლო თავად ტერმინის წარმოშობა ასოცირდება ამ პროცესის აღწერასთან ფ. შილერის პოემაში „საბერძნეთის ღმერთები“.

13. pianissimo — ძალიან ჩუმად

14. ბიბლია, ესაია (21, 11-12)

მაქსიმილიან კარლ ემილ ვებერი
Max Weber

(21 აპრილი 1864 — 14 ივნისი 1920)

გერმანელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პოლიტიკური ეკონომისტი.

დიდი გავლენა მოახდინა სოციოლოგიურ თეორიაზე, სოციოლოგიურ კვლევასა და საკუთრივ სოციოლოგიის დისციპლინაზე. ხშირად მოიხსენიება, როგორც სოციოლოგიის ძირითადი ფუძემდებელი.

მიუნხენის, ფრაიბურგის, ჰაიდელბერგსა და ვენის უნივერსიტეტების პროფესორი.

მაქს ვებერის სამეცნიერო მოღვაწეობის დიაპაზონი მეტად ფართო იყო. იგი არის დისციპლინათაშორისი მიდგომის მამამთავარი. მრავალი შრომის ავტორი - მისი შრომები შეეხება მეურნეობისა და სოციალური ფორმების ისტორიას, რელიგიასა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლოგიკასა და მეთოდოლოგიას. მისმა შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის სოციოლოგიაზე, ფილოსოფიასა და ისტორიოგრაფიაზე.



1919. 204

Geistige Arbeit als Beruf

Vorträge vor dem
Freistudentischen Bund

I

Erster Vortrag

Prof. Max Weber

(München)

Wissenschaft als Beruf

Preußische
Staatsbibliothek
Berlin

München und Leipzig
Verlag von Duncker & Humblot
1919

Max Weber - Wissenschaft als Beruf



Max Weber The Vocation Lectures:
„Science as a Vocation“ (Hackett Classics)